პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 1945 წ. № 245 (7460). ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

კიდევ უფრო ავამაღლოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონე. მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეთა შეჯიბრება. 490 ტონა ქვანახშირი ყოველ დღე-ღამეში გეგმის გადამეტებით — ასეთია ამოცანა; ტყვარჩელელთა წარმატებანი (1-ლი გვერდი).

ყველგან უნდა გაისმოდეს მგზნებარე სიტყვა ბოლშევიკი აგიტატორისა (მე-3 გვერდი).

ტ. თოდრაძე — **ლანჩხუთის რაიონი ახალი სამეურნეო წლის წინ** (მე-2 გვერდი).

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები. დეპეშები (მე-2 და მე-4 გვერდი).

კიდევ უფრო ავამაღლოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დონე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღემდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა. 1946 წლის 10 თებერვალს ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი ხმას მისცემს ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილებს, უკეთესებს უკეთესთა შორის, მათ, ვინც საქმით დაამტკიცეს უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი.

ქვეყანა ემზადება არჩევნებისათვის. უმაგალითოდ გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა. მასები ბეჯითად სწავლობენ საარჩევნო კანონს, სტალინურ კონსტიტუციას. ისინი ღრმა ინტერესს იჩენენ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებისადმი. არჩევნებისათვის მზადება გადაიქცა მასების პოლიტიკური შეგნების ზრდის მძლავრ ბერკეტად.

მშრომელთა პოლიტიკური აქტივობის ეს ზრდა ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს. ამ ამოცანებს წარმატებით ახორციელებს მრავალი აგიტატორი და პროპაგანდისტი. ისინი ღრმად განუმარტავენ მასებს საარჩევნო კანონს, სტალინურ კონსტიტუციას, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, საწარმოო ამოცანებს.

ბოლშევიკური აგიტაცია ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში, იგი ყოველთვის იყო სიმართლისაკენ მომწოდებელი, შთამაგონებელი, კონკრეტული. ეს თვისებები უზრუნველჰყოფდა და უზრუნველჰყოფს მასებზე ბოლშევიკური გავლენის განმტკიცებას, მშრომელთა მჭიდროდ დარაზმვას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

წლების მანძილზე ბოლშევიკური აგიტაციის არსენალში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება, მისი ყველა ფორმა და მეთოდი ახლა, არჩევნებისათვის მზადების დღეებში, უნარიანად უნდა გამოვიყენოთ. აგიტაცია სერიოზულ ცოდნასა და სათანადო გამოცდილებას მოითხოვს. ერთიც და მეორეც შენაძენია. არაფერია დაუძლეველი, მით უმეტეს, როცა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს მოეპოვებათ საგიტაციო მუშაობის საკმაო გამოცდილება. მოხერხებულად, უნარიანად იყენებს მრავალი პარტიული ორგანიზაცია ამ გამოცდილებას. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვბეჭდავთ მასალებს ქ. თბილისის ლენინის რაიონის აგიტატორთა თათბირისას, რომელიც არჩევნებისათვის მზადების დღეებში შეძენილი გამოცდილების ურთიერთგაზიარებისადმი იყო მიძღვნილი. ეს მასალები მოგვითხრობენ იმ მრავალმხრივ და საინტერესო მუშაობაზე, რასაც პარტიული ორგანიზაციები და აგიტატორები ეწევიან ამჟამად. ამ მასალათა გაცნობა დახმარებას გაუწევს პარტიულ ორგანიზაციებსა და აგიტატორებს მუშაობაში. ისინი აქ ნახავენ პასუხს მრავალ საკითხზე.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა უნდა მოიცავდეს მოსახლეობის ყველა ფენას: მუშებს, მოსამსახურეებს, მოსწავლეებს, დიასახლისებს, კოლმეურნეებს. საჭიროა აგიტატორის მუშაობა შეეფარდოს აუდიტორიის თავისებურებას, ითვალისწინებდეს მსმენელთა მომზადების დონეს. თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს, ამის შესახებ ლაპარაკობდნენ თათბირზე გამოსული ამხანაგები.

აგიტატორს მართალი, ბოლშევიკური სიტყვა მიაქვს მასებში, ამომრჩევლის ყველა შეკითხვას ამომწურავ, ნათელ პასუხს აძლევს. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მისი მოვალეობა. იგი აგრეთვე ორგანიზატორიც უნდა იყოს, დარაზმოს და გაიყოლიოს მასები ყოველი ახალი ამოცანის გადასაწყვეტად. თათბირზე გამოსულმა ამხანაგებმა ამის შესახებაც ბევრი საინტერესო მაგალითი მოიყვანეს.

აგიტატორის ავტორიტეტი მასებში მეტწილად დამოკიდებულია მის ცოდნაზე, მის უნარზე საინტერესოდ ააგოს საუბარი, ამომწურავი პასუხი გასცეს მსმენელთა შეკითხვებს. ამიტომ აგიტატორი თანმიმდევრულად, დაჟინებით უნდა მუშაობდეს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად. პარტიული ორგანიზაცია, პარტკაბინეტი, აგიტკოლექტივი ვალდებულია დაეხმაროს მას ამაში. თუ რა დახმარებას უწევენ პარტიული ორგანიზაციები, პარტკაბინეტი, აგიტკოლექტივები აგიტატორებს — ამის შესახებაც გვიამბეს თათბირზე გამოსულმა ამხანაგებმა.

საჭიროა გამოვიყენოთ ბოლშევიკური აგიტაციის ყველა მეთოდი და ფორმა მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის. კედლის გაზეთები, კინო, პლაკატები, ლოზუნგები, სპეციალური ფურცლები ამ საქმეს უნდა ემსახურებოდნენ. ლენინის რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებს ამ მხრივ სასარგებლო გამოცდილება აქვთ. ამ გამოცდილების შესახებ ლაპარაკობდნენ აგიტატორთა რაიონულ თათბირზე.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა არჩევნების დღეებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველგან, თუნდაც იმავე ლენინის რაიონში, ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყოს. არის შემთხვევები, როცა ბოლშევიკური აგიტაციის როლსა და მნიშვნელობას სათანადოდ არ აფასებენ. ყველა აგიტატორი პასუხისმგებლობით როდი ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად, დიდი ხანია სატრიკოტაჟო კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ გამოჰყო აგიტატორები მოსახლეობაში დებულების სპოპულარიზაციოდ, მაგრამ ისინი დღემდე არ შესდგომიან მუშაობას. პარტიულ ორგანიზაციას ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ჯერაც არაფერი გაუკეთებია. უმოქმედობას იჩენენ რკინიგზის მეშვიდე სავაგონო დეპოსთან, საელმავლო დეპოსთან და შამპანკომბინატთან ჩამოყალიბებული აგიტპუნქტები.

გამოცდილების ურთიერთგაზიარების პერიოდულად მოწყობა, რომელიც მტკიცედ დაინერგა მრავალი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, დაგვეხმარება გავაუმჯობესოთ საგიტაციო მუშაობა, ავამაღლოთ მისი დონე. აუცილებელია ხშირად მოვაწყოთ აგიტატორთა, აგიტკოლექტივებისა და აგიტპუნქტების ხელმძღვანელთა შეხვედრები, მოწინავეთა მაგალითზე აღვზარდოთ ახალი კადრები.

ყველგან — ქალაქსა თუ სოფელში, ფაბრიკასა თუ ქარხანაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში უნდა გაისმოდეს ბოლშევიკური სიმართლის მძლავრი ხმა, დამრაზმავი, მაორგანიზებელი, მგზნებარე სიტყვა აგიტატორისა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. დ. ანანიაშვილის საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. გიორგი დავითის-ძე ანანიაშვილი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**
1945 წ. 11 დეკემბერი
ქ. თბილისი.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის სახელობის № 121 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

ც ნ ო ბ ა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის სახელობის № 121 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მისამართი ასეთია:

ქ. თბილისი, შაუმიანის მოედანი, № 1, მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის შენობა, მესამე სართული, ოთახი № 8.

ტელეფონი—3-08-64.

ორჯონიკიძის რაიონმა შეასრულა მეცხოველეობის განვითარების გეგმა

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულეს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მომშენების გეგმა განაღდებულია 100 პროცენტით, თხისა და ცხვრისა — 105 პროცენტით, ღორისა — 114,6 პროცენტით, ცხენისა — 100 პროცენტით, ფუტკრისა—102 პროცენტით.

ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეთა შეჯიბრება

490 ტონა ქვანახშირი ყოველ დღე-ღამეში გეგმის გადამეტებით—ასეთია ამოცანა

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინისა (უფროსი ლ. რატიანი, პარტბიუროს მდივანი რ. სადუნიშვილი) და ლენინის (უფროსი ნ. კვინიხიძე, პარტბიუროს მდივანი ი. იოსელიანი) სახელობის შახტების კოლექტივები კარგად მუშაობენ. ისინი ყოველდღიურად ასეულობით ტონა ქვანახშირს იძლევიან გეგმის გადამეტებით.

ლენინის სახელობის შახტმა, რომელიც ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივს ეჯიბრება, ნოემბრის გეგმა 119 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობს გ. ფანჩულიძის უბანი, რომელმაც 11 თვეში 107 პროცენტით შეასრულა წლიური პროგრამა.

ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე სტალინის სახელობის შახტის მერვე საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც სამთო ტექნიკოსი პ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს. ეს უბანი წლიური გეგმის გადამეტებით 120-130 ტონა ქვანახშირს იძლევა ყოველდღიურად. 11 თვის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გ. ვერულაშვილის და შ. შოთაძის უბნებმა.

მაგრამ განვლილი თვეების გეგმა დანაკლისით აქვს შესრულებული გელათის მაღაროს.

ტყიბულელებმა იკისრეს წლიური გეგმის 21 დეკემბრისათვის შესრულება. ამ ვალდებულების გასანაღდებლად ტრესტის კოლექტივმა ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით უნდა მოგვცეს 490 ტონა ქვანახშირი.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად 490 ტონა ქვანახშირი გეგმის გადამეტებით ყოველ დღე-ღამეში— ასეთია ახლა ტყიბულელი მეშახტეების ამოცანა.

დ. ქათამაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ტყვარჩელელთა წარმატებანი

ტყიბულელ მეშახტეებთან სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებამ ტყვარჩელელებს დიდი დახმარება გაუწია ახალ საწარმოო მიღწევათა მოპოვებაში.

ქ. გოთუას უბნის კოლექტივმა წლიური საწარმოო გეგმა 28 ნოემბერს შეასრულა. ახლა ამ უბნის მეშახტეები ყოველდღიურად რამდენიმე ას ტონა ქვანახშირს იძლევიან გეგმის გადამეტებით.

კარგად მუშაობს სტალინის სახელობის შახტის მესამე უბნის კოლექტივიც, რომელსაც ს. შჩერბინოვი ხელმძღვანელობს. ამ უბნის მეშახტეებმა ნოემბრის საწარმოო გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს, ხოლო დეკემბრის პირველ ხუთდღიურში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ეშელონი ქვანახშირი მოგვცეს.

მოწინავეა აგრეთვე მერვე უბანი, რომელსაც რაჟდენ ბოცვაძე ხელმძღვანელობს. მაგრამ ყველას გაუსწრო ინჟინერ ა. ჭირაქაძის მეორე სამთო-მოსამზადებელი უბნის კოლექტივმა. როგორც ცნობილია, ამ უბანზე 1945 წლის საწარმოო გეგმა ორი თვის წინათ—4 ოქტომბერს შეასრულეს.

წარმატებით მუშაობენ ტრესტის სატრანსპორტო განყოფილების მუშაკებიც (უფროსი ა. კვიცაია), რომლებმაც 1 დეკემბრისათვის 106 პროცენტით შეასრულეს ქვანახშირის ტრანსპორტირების წლიური გეგმა.

ტყვარჩელელი მეშახტეები კვლავ მაღალნაყოფიერად და მონდომებით მუშაობენ, რათა ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდი.

ა. ლეფთერიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მეტალურგიულ საწარმოთა აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროექტები

ლენინგრადი, 11 დეკემბერი. (საკდესი). მეტალურგიული ქარხნების დაპროექტების ინსტიტუტის — „გიპრომეზის“ ლენინგრადის განყოფილების კოლექტივი ადგენს ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი უდიდესი მეტალურგიული საწარმოების აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროექტებს.

დამთავრებულია პეტროზავოდსკის ომის წლებში დანგრეული მანქანათმშენებელი და მეტალურგიული ქარხნის აღდგენის პროექტი. ქარხანა აგებული იყო 1861 წელს. იგი აღდგენილ იქნება უახლესი მეტალურგიული ტექნიკის გათვალისწინებით.

ინსტიტუტი დიდ სამუშაოებს ასრულებს სამხრეთის მეტალურგიის ასაღორძინებლად. ამ თვეში დამთავრდება მთელი რიგი ქარხნებისა და საამქროების პროექტები, კერძოდ, ილიჩის სახელობის მარიუპოლის მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნისა, ნიკოპოლის მილის ქარხნისა.

კოლექტივმა ვალდებულება იკისრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის დაამთავროს ზაპოროჟიეში მაღალხარისხოვანი ფოლადების მეტალურგიული ქარხნის „დნეპროსპეცსტალის“ კაპიტალურ-აღდგენითი სამუშაოების დაპროექტება.

დაწყებულია ლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის „სვობოდნი სოკოლის“ აღდგენისა და რეკონსტრუქციის დაპროექტება.

დახმარება გერმანიის მონობიდან დაბრუნებულთათვის

მინსკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ბელორუსიაში დაბრუნდა ათი ათასობით მცხოვრები, რომლებიც ჰიტლერელების მიერ ძალად იყვნენ გარეკილნი გერმანიის მონობაში. სამშობლო ადგილებში დაბრუნებულთ ეძლევათ ახალი სახლები, მიწის ნაკვეთები, პირუტყვი. ბავშვები, რომლებმაც მშობლები დაჰკარგეს, დასასვენებელ სახლში გაგზავნეს.

სამშობლოში დაბრუნებულნი უზრუნველყოფილი არიან ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ერთდროული ფულადი დახმარებით. ასეთი დახმარება რესპუბლიკაში გაცემულია სამ მილიონ მანეთზე მეტი.

იმიგრანტ სომეხთა მიმღები და მომწყობი კომიტეტი

ერევანი, 10 დეკემბერი. (საკდესი). სომხეთის სსრ სახკომსაბჭოსთან მოეწყო იმიგრანტ სომეხთა მიმღები და მომწყობი კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. ასტვაცატურიანი, მოადგილეებად — ამხ. მარჯანიანი და სარიანი, კომიტეტის წევრებად ამხ. კარაპეტიანი და მელიქ-ადამიანი.

ახალი წლისათვის—კეთილმოწყობილ სახლებში

სმოლენსკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). სმოლენშჩინის კოლმეურნეობანი განაგრძობენ სოფლებისა და დაბების მშენებლობას. გასულ თვეში აგებულია ორი ათასამდე სახლი. დიდ წარმატებას მიაღწია დუხოვშჩინის რაიონმა, რომელმაც მიიღო საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა. კოლმეურნეობებში მუშაობს 48 სამშენებლო ბრიგადა.

სტალინის სახელობის არტელში წელს აშენებულია ოცდაათი ახალი სახლი. მათ შორის თორმეტი სახლი ააგო გრიგოლ ანუფრიევის ბრიგადამ, რომელიც 6 კაცისაგან შესდგება. გარდა ამისა, ბრიგადამ ააშენა ბაგა, ორი ბეღელი, მარცვალსაშრობი, სასწორე და საცხვრები.

ამ დღეებში საუკეთესო ხუროები და დურგლები სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებთან ერთად რაიონულ თათბირზე იყვნენ. გრიგოლ ანუფრიევმა თათბირზე სიტყვა წარმოთქვა და განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად მისმა ბრიგადამ გადასწყვიტა ახალი წლისათვის ააგოს კიდევ ორი სახლი სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის. ბრიგადის თაოსნობამ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. თათბირის მონაწილეებმა გადასწყვიტეს დეკემბერში ასი სახლი ააგონ.

ბავშვები სალასპილის სიკვდილის ბანაკიდან

რიგა, 11 დეკემბერი. (საკდესი). მაიორის ბავშვთა სანატორიუმის აღსაზრდელთა შორის არის 13 ბავშვი — სალასპილის სიკვდილის ბანაკის ყოფილი პატიმრები. ამ ბავშვებს ჰიტლერელი ავაზაკები სისხლს ართმევდნენ. საშინელი დანაშაული ჩაწერილია აქტში ექიმ ხარიტონოვსკაიას, საბავშვო სახლის გამგის ო. ბენციისა და სამედიცინო დის ო. გრაბოვსკაიას მიერ. აი ამონაწერი ამ დოკუმენტისა, რომელიც აღსაზრდელ ლემეშენოკს შეეხება: „მამა მოკლულია, დედა წაყვანილია გერმანიაში. ოჯახში ხუთი ბავშვია. ყველანი სალასპილის ბანაკში მოხვდნენ, სადაც მათ თითქმის ყოველ კვირაში სისხლს ართმევდნენ. ერთი წლისა და სამი თვის გოგონა მას შემდეგ, რაც მას არაერთგზის წაართვეს სისხლი, გარდაიცვალა. დანარჩენთა ბედი გამოურკვეველია“.

წითელმა არმიამ ფაშისტი ჯალათებისაგან იხსნა 13 ბიჭი და გოგონა. ამჟამად საბჭოთა ადამიანების თავდადებული მეცადინეობის მეოხებით ბავშვთა ჯანმრთელობა გამოკეთდა.

ერთი თვის წინათ სამი წლის ო. მოროზი დედამისმა, რომელიც გერმანიის მონობიდან დაბრუნდა, მოსძებნა და წაიყვანა. მოელიან სამი წლის ტომას პუშკელის დედის მოსვლას. დანარჩენ ბავშვთა მშობლების ბედის შესახებ ჯერჯერობით არაფერი იციან.

მ ა მ ა ც ი მ ე თ ა უ რ ი

მრავალი მძაფრი ბრძოლის მონაწილეა პოლკოვნიკი კონსტანტინე არშბა. დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე იგი განუწყვეტლივ იმყოფებოდა ფრონტის წინა ხაზზე და მხოლოდ ხანდახან ატევდა მღელვარე ღამეებს ჰოსპიტალში ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობათა მოსაშუშებლად.

მოგითხრობთ რამდენიმე ეპიზოდს მისი ბრძოლებისას.

მოსკოვი. 1941 წლის შემოდგომა. 1-ლი დივიზია. კონსტანტინე არშბა ამ დივიზიაშია, როგორც კაპიტან-ინჟინერი. გერმანელები უახლოვდებიან ჩვენი დედაქალაქის კარიბჭეებს. მოსკოვთან ახლო მდებარე ქალაქი იახრომა. ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს მოსკოვ-ვოლგის არხი. ამ ქალაქში პირისპირ დგანან ჩვენები და გერმანელები. გერმანელები ცდილობენ არხის გადმოლახვას, — ჩვენებს აუფეთქებელი დარჩათ მთავარი ხიდი არხზე. ეს ხიდი გამოთოფვილია როგორც ჩვენი, ისე მტრის მეწინავე ნაწილების მიერ. დივიზიის სარდლობამ კაპიტან-ინჟინერ კონსტანტინე არშბას დაავალა ხიდის აფეთქება. ეს უნდა მოხდეს ღამით. ხიდი და ხიდის ირგვლივ მდებარე არე-მარე დაწვრილებით შეისწავლა კაპიტან-ინჟინერმა. გვიან ღამით სუნთქვაშეკრული უჩინმაჩინივით მიეპარა ხიდს თავისი მებრძოლებით და დანაღმა. მხოლოდ აფეთქების დროს შეიცნეს გერმანელებმა გაბედული საბჭოთა ინჟინერი და დაუშინეს ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი. ფაშისტები გარშემოერტყნენ არშბას და მის თოთხმეტ მებრძოლს, შეეცადნენ საბჭოთა მებრძოლების დატყვევებას. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. კონსტანტინე არშბამ თავისი მეომრებით გაარღვია გარემოცვა და ვალმოხდილი, მაგრამ მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა თავის ნაწილში.

ჭრილობამ რამდენიმე თვით დააკრა სარეცელს მამაცი მებრძოლი.

1942 წლის მაისი. პირველი დამკვრელი არმია. მაიორი კონსტანტინე არშბა არმიის შტაბში მუშაობს საინჟინრო ჯარების უფროსის მოადგილედ. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი. სტარაია რუსას მიმართულება. უმკაცრესი ბრძოლები. ჯარების სიმრავლე გერმანელებს ხელს უწყობს განავითარონ შეტევა. არმიის უფროსმა კონსტანტინე არშბას დაავალა გერმანელთა სატანკო დივიზიის შემოტევის შეჩერება. არშბა თავისი სამი ბატალიონით გაუმკლავდა გერმანელთა რჩეულ სატანკო დივიზიას... სამი ბატალიონი შემტევი სატანკო დივიზიის წინააღმდეგ! მტრის მხოლოდ ორმოცდაათმა ტანკმა შემოაღწია კონსტანტინე არშბას ჯარების განლაგებაში. გაიმართა უთანასწორო ორთაბრძოლა და საბჭოთა მეომრებმა პირწმინდად მოსპეს ორმოცდაათივე ტანკი. თვითონ კონსტანტინე არშბა პირისპირ შეებრძოლა გერმანელთა ერთ ტანკს. ფაშისტთა ტანკსა და მთელ ეკიპაჟს ერთმა საბჭოთა მეთაურმა სძლია.

ამ ბრძოლაში მიღებული ჭრილობის განკურნებას სამი თვე დასჭირდა. მეტად მძიმე იყო ეს ჭრილობაც. მხარიდან-მხარში გაუარა ავტომატის ტყვიამ.

1942 წლის სექტემბერი. მეორე დამკვრელი არმია. კონსტანტინე არშბა მეთაურობს არმიის საინჟინრო ჯარების ოპერატიულ ჯგუფს. ოქტომბერში, ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს დაიღუპა გვარდიული დივიზიის ინჟინერი. იგი კონსტანტინე არშბამ შესცვალა. ეს დივიზია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევაში. გმირული ბრძოლები ლენინის ქალაქისათვის... ქალაქი მგა, სინიაევის ცნობილი სიმაღლე 43-3! კონსტანტინე არშბა პოლკს მეთაურობდა. ფრონტის წინა ხაზზე მოვიდა საბჭოთა კავშირის მარშალი ვოროშილოვი და მან პირადად დაავალა კონსტანტინე არშბას სინიაევის მაღლობის შენარჩუნება. და კონსტანტინე არშბამ პირნათლად შეასრულა ბრძანება. სახელოვან მეთაურს ბრძოლის მომენტშივე გადასცეს ალექსანდრე ნეველის ორდენი.

კონსტანტინე არშბას მიანიჭეს პოდპოლკოვნიკის ხარისხი და მოიერიშე ბრიგადის მეთაურად დანიშნეს.

არშბას მოიერიშე ბრიგადა მონაწილეობდა ქალაქების ორიოლისა და ბრიანსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ურთულესი ოპერაციების ბრწყინვალედ ჩატარებისათვის საინჟინრო ჯარების მარშალმა ვორობიოვმა პოდპოლკოვნიკ კონსტანტინე არშბა ინახულა ფრონტზე და მას მადლობა გამოუცხადა.

შეუპოვარი ბრძოლები და ჩვენი ჯარების უმაგალითო შეტევა გრძელდებოდა. კონსტანტინე არშბა დანიშნა მეოცე მოიერიშე ბრიგადის უფროსად. ეს ბრიგადა შედიოდა საბჭოთა კავშირის მარშალ მერეცკოვის ჯარებში.

1944 წელი. კარელია-ფინეთის ფრონტი. კონსტანტინე არშბას მოიერიშე ბრიგადამ პირველმა მოახდინა მდინარე სვირის გადალახვა. მარშალმა მერეცკოვმა მიულოცა მეთაურს სახელოვანი გამარჯვება. მდინარე სვირზე გადასვლისათვის კონსტანტინე არშბამ მადლობა მიიღო დიდი ბელადისაგან, ხოლო მისი ბრიგადიდან ოც მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

კარელია-ფინეთის ფრონტი. მოიერიშე ბრიგადა ღრმად შეიჭრა მტრის ჯარების განლაგებაში. მტერმა მოახერხა ბრიგადის შტაბის გარემოცვა. კონსტანტინე არშბამ გარემოცვა გაარღვია. ამ ბრძოლაში მტრის მრავალი ჯარისკაცი იქნა მოკლული, ხოლო ორმოცი დაატყვევეს. ისევ დაიჭრა პოლკოვნიკი, მაგრამ მან ბრძოლის ველი მაინც არ მიატოვა. თვითონ შეიხვია ჭრილობები.

ფინეთი გამოვიდა ომიდან. პოლკოვნიკ არშბას მოიერიშე ბრიგადამ იმიერპოლარეთს მიაშურა... ნორვეგია. ბრძოლები თოვლსა და ბურუსში... არშბას ბრიგადა გზას უკაფავდა ჩვენს ტანკებსა და არტილერიას. წითელი არმია შეუსვენებლივ მიიწევდა წინ. კონსტანტინე არშბამ ორი ბატალიონით ღრმად შეაღწია მტრის ჯარების განლაგებაში და ჩვენი მთავარი ნაწილების მოსვლამდე უშიშრად მოქმედებდა მტრის ზურგში, სპობდა გერმანელთა ცალკეულ კოლონებს, ანგრევდა ხიდებს, ანადგურებდა კავშირგაბმულობას.

ამ ბრძოლისათვის პოლკოვნიკ კონსტანტინე არშბას სატანკო ჯარების მარშალმა ვორობიოვმა პირადი მადლობა გამოუცხადა და დანიშნა პირველი მოიერიშე ბრიგადის უფროსად.

ეს მოიერიშე ბრიგადა სახელმოხვეჭილია, ის მელიტოპოლის, ბუქარესტისა და ვენისათვის ბრძოლების გმირია. ბრიგადის დროშას ამშვენებს სუვოროვის მეორე ხარისხის, კუტუზოვის მეორე ხარისხის, წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები.

სახელოვან ბრიგადას სახელოვანი მეთაური ჰყავს.

* * *

კონსტანტინე იაკობის-ძე არშბა დაიბადა გლეხის ოჯახში ქალაქ ოჩამჩირეში 1906 წელს. 1930 წელს დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1937 წელს ჩაირიცხა წითელ არმიაში.

პოლკოვნიკი კონსტანტინე არშბა დაჯილდოებულია წითელი დროშის, კუტუზოვის მეორე ხარისხის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით — „მოსკოვის დაცვისათვის“, „ლენინგრადის დაცვისათვის“, „იმიერპოლარეთის დაცვისათვის“ და „სამამულო ომში გამარჯვებისათვის“.

ა. თარიშვილი

ფინეთში განახლდა ომის დამნაშავეთა გასამართლება

ჰელსინკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). 10 დეკემბერს განახლდა ფინეთში ომის დამნაშავეთა გასამართლება. სხდომაზე თავმჯდომარეობდა უმაღლესი სასამართლოს ახლადდანიშნული თავმჯდომარე ოსკარ მელერი.

მთავარი ბრალმდებელი იუსტიციის კანცლერი ტოივო ტარიანე სასამართლოს სახელზე გაგზავნილ სამახსოვრო ბარათში აღნიშნავს ბრალდებულთა—მათ შორის ყოფილ პრეზიდენტ რიუტის—ცდებს განიხილონ სასამართლოში მთელი რიგი ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის პირობები, რომელთაც მნიშვნელობა არა აქვთ წინათ მიღებული კანონის საფუძველზე ომის დამნაშავეთა დასჯის შესახებ მსჯელობისას. ეს ცდები მხოლოდ გაბერავენ ყოველგვარი საჭიროების გარეშე სასამართლო პროცესს იმ საკითხების განხილვის გზით, რომლებსაც გავლენა არა აქვთ საქმის შინაარსზე. ტანერის განზრახვას, გამოქვეყნებინა სხვა პირთა სიტყვები, არავითარი საფუძველი არა აქვს, რამდენადაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხელმძღვანელ მდგომარეობაში ყოფნისას ტანერი თავისი გულმოდგინე საჯარო გამოსვლებით გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე სრულიად სხვანაირად, ვიდრე სხვები.

დასასრულ ტარიანემ განაცხადა: „იმისათვის, რომ სასამართლო პროცესი სათანადო ჩარჩოებში მიმდინარეობდეს და მიღწეულ იქნას პროცესით დასახული მიზანი, ჩემის აზრით, შეიძლებოდა ისეთი წესი შემოგველო, რომ საბრალდებო დასკვნა განხილული ყოფილიყო წინასწარ თვითეული ბრალდებულის მიმართ ცალკე, პუნქტობით. ამგვარად, ბრალდებულებს, რომელთაც საკმაო დრო ექნებოდათ საბრალდებო აქტისა და მისი დამატების გასაცნობად, შეეძლებოდათ განეცხადებინათ თავიანთი აზრი თვითეულ პუნქტზე ცალკე. ყოველ შემთხვევაში, ჩემს მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, რომლებიც ეხება პრეზიდენტ რიუტის და დირექტორ-განმკარგულებელ ტანერს, მე უნდა ვთხოვო სასამართლოს, რომ ომის დამნაშავეთა გასამართლებისას მას უკვე ჰქონდეს თავისი თვალსაზრისი, რათა თავიდან აცილებულ იქნას დაცვისათვის ისეთი მასალის მიწოდება, რომელიც უაზროდ გაბერავდა სასამართლო პროცესს და ამ მასალას გავლენა არ ექნებოდა საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე".

სასამართლოს სხდომის დაწყებისთანავე ტარიანემ შეავსო ბრალდება კივიმიაკისა და ტანერის მიმართ. კივიმიაკის ანგარიშები და ცნობები ბერლინიდან, აგრეთვე მისი სიტყვიერი განცხადება სეიმის საგარეო საქმეთა კომისიაში, უეჭველად საფუძველსა და დასაყრდენს აძლევდნენ მთავრობის კურსს. „ცნობათა შეგროვების დარგში თავისი საქმიანობით პროფესორი კივიმიაკი,—სთქვა ტარიანემ,—ხელს უწყობდა ფინეთის ჩაბმას ომში 1941 წელს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ომის დროს გადაჭრით ხელს უშლიდა მშვიდობიანობის მიღწევას".

ამის საფუძველზე ტარიანემ მოითხოვა კივიმიაკი „დაისაჯოს სახელმწიფოს საზარალოდ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის არასწორად გამოყენებისათვის".

დაახასიათა რა ბრალდებულ ტანერის საქმიანობა, მთავარმა ბრალმდებელმა გაიხსენა, რომ ტანერი თავის საჯარო სიტყვებში ცდილობდა არ დაეშვა ზავის დადების შესაძლებლობა. ასეთივე ხასიათი ჰქონდა მის საგაზეთო ინტერვიუებს. იმ მდგომარეობის შედეგად, რაც ტანერს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, სეიმსა და მთავრობაში ეკავა, იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. 1944 წლის თებერვალში მთავარი ბანაკის სამხედრო მმართველობის განყოფილება, მაგალითად, თავის მიმოხილვაში სწერდა, რომ ფინეთის საქმეთა ნამდვილი მესვეურები, არსებულ რთულ პირობებში, იყვნენ ტანერი და ვალდენი.

ეკავა რა ცენტრალური და გავლენიანი მდგომარეობა მინისტრთა საბჭოში, ტანერი გავლენას ახდენდა საგარეო პოლიტიკაზე იმ დროსაც კი, როცა იგი პირდაპირ არ შედიოდა საგარეო საქმეთა კომისიაში. ტანერის ამ თვალსაჩინო მდგომარეობისა და მთელი მისი საქმიანობის ხასიათის გამო, მთავარ ბრალმდებელს დადასტურებულად მიაჩნია, რომ ტანერი დამნაშავეა იმ დასასჯელი მოქმედებისა და შეცდომებისათვის, რომლებიც განსაზღვრულია საბრალდებო დასკვნაში მე-4 პუნქტით, აგრეთვე მე-2 პუნქტითაც.

მთავარმა ბრალმდებელმა ტარიანემ მოითხოვა ტანერის დასჯა ამ მოქმედებისათვის.

ადვოკატ მიკო ერიხის ავადმყოფობის გამო, ტანერი პროცესზე გამოდის დამოუკიდებლად, უდამცველოდ.

უნგრეთის ეროვნული კრების საბოლოო სხდომა

ბუდაპეშტი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა პირველი სესია უნგრეთის ეროვნული კრებისა, რომლის დეპუტატებიც 4 ნოემბერს არჩეული იყვნენ ფარული კენჭის ყრით უნგრეთის ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე.

საბოლოო სხდომაზე ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. ამ კანონის თანახმად, უნგრეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის წარმომადგენელია მხოლოდ-მხოლოდ ეროვნული კრება, შექმნილი არჩევნების საფუძველზე.

ეროვნული კრება,—ნათქვამია კანონში,—განსაზღვრავს უნგრეთის სახელმწიფოს კონსტიტუციას, აგრეთვე ირჩევს პოლიტიკურ კომისიას 36 წევრის შემადგენლობით, რომლის კომპეტენციაშიც შედის დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მომზადება.

განყოფილებაში უმაღლესი ეროვნული საბჭოს შესახებ ნათქვამია, რომ ეროვნული კრების თავმჯდომარე იწვევს და ატარებს მის სხდომებს, რომლებზედაც ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხმის უმრავლესობით. უმაღლესი ეროვნული საბჭოს კომპეტენციაში შედის დანიშვნა ისეთ პოსტებზე, რომელთა დაკავებაც მთავრობის ან პრემიერის ფუნქციებში არ შედის.

კანონი ტილდის მთავრობას სამი თვის განმავლობაში ანიჭებს რწმუნებებს იმ საკითხთა გადასაჭრელად, რომლებიც ეროვნული კრების კომპეტენციაში შედიან, რაც ტილდიმ დეპუტატებს სთხოვა თავის სიტყვაში. ამ რწმუნებათა მოქმედება სწყდება აღნიშნული ვადის გასვლამდე მთავრობის შეცვლის შემთხვევაში.

ეროვნულმა კრებამ აირჩია უმაღლესი ეროვნული საბჭო, რომელიც აღჭურვილი იქნება სახელმწიფოს მეთაურის უფლებებით. საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ ეროვნული კრების წარმომადგენლები: ნაღ ფერენცი, რაიკ ლასლო და ვარგა ბელა. კანდიდატებად არჩეული არიან სედერ ფერენცი და საბო პალი. მათ ფიცი დასდეს.

ეროვნული კრების დროებითი წესდების დამტკიცების შემდეგ ნაღ ფერენცმა გამოაცხადა კრების მუშაობის შეწყვეტა საშობაო არდადეგებისათვის. ნავარაუდევია მორიგი სხდომა მოწვეულ იქნას 1946 წლის იანვარში.

მომავალი არჩევნები საბერძნეთში

ათენი, 10 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელი ოფიციალური განცხადებებიდან გამოირკვა, რომ საბერძნეთის მთავრობას განზრახული აქვს ჩაატაროს არჩევნები (31 მარტს) არსებული საარჩევნო სიების საფუძველზე მათი შესწორების შემდეგ. ამან გაუგებრობა გამოიწვია მთელს მემარცხენე პრესაში. ვინაიდან ახლანდელი მთავრობის ბევრი წევრი, სანამ მთავრობის შემადგენლობაში შევიდოდა, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არსებული სიები ყალბია და რომ უაზროა არჩევნების თარიღის დაწესება, სანამ სახელმწიფოში არ დამყარდება წესრიგი, არ შესწყდება ტერორი და არ გაიწმინდება სახელმწიფო აპარატი ფაშისტური ელემენტებისაგან. მთავრობის ბევრი წევრი არჩევნების ბოიკოტითაც კი იმუქრებოდა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები ჩატარდებოდა ყალბი სიებით და აღნიშნული ზომების წინასწარ გატარების გარეშე. უკვე მთავრობის შექმნის შემდეგ საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა განაცხადა, რომ იგი დარწმუნდა სიების არასისწორეში. დაჟინებით არ მოითხოვენ რა არჩევნების გადადებას, მემარცხენე გაზეთები აკრიტიკებენ მთავრობას იმისათვის, რომ მან დანიშნა არჩევნების თარიღი და არაფერი გააკეთა არჩევნების პატიოსნად ჩატარების უზრუნველსაყოფად. ცენტრის გაზეთი „ელეფთერიაც" კი, რომელიც ძლიერ ახლო სდგას ახალ მთავრობასთან, სწერდა: „თუმცა ხელისუფლების სათავეში დგას ბანაკი, რომელსაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური ჩიხიდან ერთადერთ გამოსავალს პატიოსანი არჩევნები წარმოადგენსო, მაინც თავისუფალი არჩევნების უზრუნველსაყოფად არაფერი გაუკეთებია". გაზეთი ხაზს უსვამს სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის წმენდის აუცილებლობას.

გუშინ ეამის (ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტის) წარმომადგენლებმა ინახულეს უცხოელი მეთვალყურენი და განუცხადეს, რომ ეამის კოალიცია მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებში, თუ არჩევნები ჩატარდება არასწორი სიების საფუძველზე. მათ აცნობეს მეთვალყურეებს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ არსებული სიების მათს შეფასებას და, კერძოდ, ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ რეგისტრირებულთა რიცხვი 600 ათასით აღემატება იმ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ წინანდელი არჩევნების დროს. პრესა უკვე იუწყებოდა, რომ „რეგისტრირებულთა" რიცხვი კორფუს კუნძულზე თითქმის უდრის კუნძულის მცხოვრებთა საერთო რიცხვს, თუმცა ცნობილია, რომ საბერძნეთში ქალებს არა აქვთ საარჩევნო უფლება, თუ აღარას ვიტყვით ბავშვებზე. ეამის წარმომადგენლებმა ისევე, როგორც ელდის (სახალხო დემოკრატთა კავშირი) ხელმძღვანელებმა მიუთითეს მეთვალყურეებს საერთო ამნისტიისა და წმენდის საჭიროებაზე, როგორც თავისუფალი არჩევნების აუცილებელ პირობებზე. მეტად დამახასიათებელია აგრეთვე, რომ მემარჯვენეთა ყველა წარმომადგენელი მეთვალყურეებთან შეხვედრისას ყველაზე მეტად იმას მოითხოვდა, რომ არჩევნები ჩატარდეს არსებული, მათ მიერ შედგენილი სიებით.

წარმომადგენელთა პალატის წევრი დელასეი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის შესახებ

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტის მიერ 7 დეკემბერს ფილადელფიაში მოწყობილ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრი დემოკრატი დელასეი (ვაშინგტონის შტატისაგან). მან განაცხადა, რომ ამერიკელმა ხალხმა უნდა მიაღწიოს რუზველტის საგარეო პოლიტიკის განგრძობას, აგრეთვე ჩინეთიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გამოწვევას და ჩინეთში ამერიკის ინტერვენციის შეწყვეტას. მან განაცხადა, რომ ბირნსთან მისი საუბრის დროს 7 დეკემბერს ამ უკანასკნელმა აცნობა მას, რომ ამერიკის პოლიტიკა ისწრაფვის ხელი შეუწყოს ჩინეთის გაერთიანებას, მაგრამ ამერიკის ჯარების გამოწვევაზე ბირნსს არაფერი უთქვამს. დელასეიმ განაცხადა: „თქვენ არ შეგიძლიათ იქადაგოთ ერთიანობა საზღვარგარეთ, როდესაც ჩინეთში ანტიკომუნისტურ ბაზებს ჰქმნით". დელასეი მოითხოვდა საერთაშორისო კონტროლის დაწესებას ატომურ ბომბზე და ჰკიცხავდა ამერიკის პრესას საბჭოთა კავშირის მიზნების დამახინჯებისათვის.

ბრძოლა კუნძულ იავაზე

ლონდონი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიო კუნძულ იავიდან გადმოგვცემს, რომ 70 სატვირთო მანქანისაგან შემდგარი კოლონა, რომელიც ბატავიიდან ბანდუნგს გაიგზავნა, გუშინ საღამოს წააწყდა ჩასაფრებულ მოწინააღმდეგეს მთის გზაზე ბატავიიდან 50 მილის სამხრეთით. როგორც კორესპონდენტი რიჩარდ შარპი იუწყება, კოლონას იცავს იაპონელ ჯარისკაცთა ბატალიონი. კოლონის მნიშვნელოვანმა ნაწილმა გზა გაიკაფა ბატავიასა და ბანდუნგს შუა მდებარე დასახლებულ პუნქტამდე, მაგრამ არიერგარდი იძულებული იყო მთელი ღამის განმავლობაში წინააღმდეგობა გაეწია ინდონეზიელების თავდასხმისათვის. კორესპონდენტ შარპის აღწერით ეს ნამდვილი ბრძოლა იყო. საჭურველი და მედიკამენტები კოლონას თვითმფრინავიდან ჩამოუყარეს. „ჩვენ მხარეზე,—სწერს შარპი,—მოკლულია 20-მდე კაცი და დაჭრილია 30".

მეორე კორესპონდენტი იუწყება, რომ კოლონაზე ინდონეზიელების თავდასხმის შემდეგ ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს იმ ადგილის ახლოს მდებარე სოფელზე, სადაც მტერი იყო ჩასაფრებული. ეს საჰაერო იერიში ყველაზე ძლიერი იყო იავაზე ბრძოლების მთელი ხნის განმავლობაში.

ბატავიიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა სახმელეთო ძალების სარდალი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გენერალი დემპსი ხვალ უნდა ჩამოვიდეს იავაზე.

ახალი მთავრობის შექმნა იტალიაში

რომი, 10 დეკემბერი. (საკდესი). რომის რადიო გადმოგვცემს, რომ დღეს დილით დე გასპერიმ იტალიის მეფის ნაცვალს პრინც უმბერტოს წარუდგინა მის მიერ შექმნილი მთავრობის წევრთა სია. მთავრობის შემადგენლობაში შედიან: ალჩიდე დე გასპერი—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი და რეკონსტრუქციის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე; პიეტრო ნენი—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და დამფუძნებელი კრების საქმეთა მინისტრი; ემილიო ლუსუ—სათათბირო კრების საქმეთა მინისტრი; ჯუზეპე რომიტა—შინაგან საქმეთა მინისტრი; პალმირო ტოლიატი—იუსტიციის მინისტრი; მაურო სკოჩიმარო—ფინანსთა მინისტრი; მანლიო ბროზიო—სამხედრო მინისტრი; რაფაელე დეკურტენი—საზღვაო მინისტრი; მარიო ჩევოლოტო—ავიაციის მინისტრი; ენრიკო მოლე—განათლების მინისტრი და სხვ.

რომი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ახალი კაბინეტი, რომელსაც დე გასპერი მეთაურობს, შედგენილია ექვსი პარტიის კოალიციის საფუძველზე. კაბინეტში შედიან: სამი წარმომადგენელი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისა (დე გასპერი, შელბა, გრონკი), სამი სოციალისტი (ნენი, რომიტა, ბარბარესკი), სამი კომუნისტი (ტოლიატი, სკოჩიმარო, გულო), სამი წარმომადგენელი „მოქმედების პარტიისა" (ლუსუ, ლომბარდი, ლამალფა), სამი წარმომადგენელი „შრომის დემოკრატიის" პარტიისა (ჩევოლოტო, მოლე, გასპაროტო), სამი ლიბერალი (კორბინო, ბროზიო, კატანი) და ერთი უპარტიო (დე კურტენი).

სასურსათო მომარაგების სამინისტრო გარდაიქმნება უმაღლეს კომისარიატად და მეთაურად ეყოლება „სპეციალისტი".

საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის მოკვლა ნიურნბერგში

ნიურნბერგი, 9 დეკემბერი. (საკდესი). 8 დეკემბერს საღამოს დაახლოებით 11 საათზე მკერდში ტყვიის სროლით სასიკვდილოდ დაჭრეს წითელარმიელი — შოფერი ამხანაგი ბუბენი. 9 დეკემბერს ამერიკის იმ ჯარების სარდლის შტაბმა, რომლებიც სამხედრო ტრიბუნალს უწევენ მომსახურებას, გამოაქვეყნა ნიურნბერგის რაიონის სამხედრო პოლიციის უფროსის მაიორ კლეიტონის ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ბუბენი დაჭრილ იქნა მკერდში მცირე ყალიბის ტყვიით „გრანდ-ოტელის" ახლოს და გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. სწარმოებს გამოძიება.

ბულგარეთის სახალხო კრების პირველი სესია დანიშნულია 15 დეკემბრისათვის

სოფია, 9 დეკემბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა სარეგენტო საბჭოს ბრძანებულება სახალხო კრების პირველი მორიგი სესიის მოწვევის შესახებ 15 დეკემბერს.

ალბანეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები

ბელგრადი, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ალბანეთში ჩატარებული არჩევნების შედეგები (ორი საარჩევნო პუნქტის ცნობების გამოკლებით). დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა 93.23 პროცენტმა, ხოლო უსიო ყუთებში კენჭი ჩაჰყარა მხოლოდ 6,77 პროცენტმა.

ტირანის პრეფექტურაში არჩევნების მონაწილე 48.129 ამომრჩევლიდან 42.418 კაცმა, ანუ 88,13 პროცენტმა, ხმა მისცა დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებს და 5.711 კაცმა, ანუ 11,87 პროცენტმა, კენჭი ჩაჰყარა უსიო ყუთებში.

სამხედრო ქონების მოსპობა ახალ კალედონიაში

ნიუ-იორკი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს კონგრესის წევრის რესპუბლიკელ ლეტჰემის (ნიუ-იორკის შტატი) განცხადებას წარმომადგენელთა პალატაში იმის შესახებ, რომ ამერიკის არმიამ ახალი ზელანდიის ქალაქ ნუმეაში უაზროდ მოსპო უამრავი ზედმეტი სამხედრო ქონება მილიონი დოლარის ღირებულებისა, მათ შორის ნავები და ყველა ტიპის გადასაზიდავი საშუალებანი, რომლებიც დასწვეს ან ზღვაში ჩაჰყარეს. ლეტჰემმა წინადადება შეიტანა, რათა წარმომადგენელთა პალატამ განიხილოს ზედმეტი სამხედრო ქონების ლიკვიდაციის მეთოდების საკითხი.

სენატის მიერ გამოყოფილი სამხედრო მრეწველობის გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარემ, დემოკრატმა სენატორმა მიდმა (ნიუ-იორკის შტატი) კომენტარი გაუკეთა ავსტრალიის პრესაში წინათ გამოქვეყნებულ ამგვარსავე ცნობებს და პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ამ კომისიამ არმიისა და ფლოტის წარმომადგენლებს უკვე მოსთხოვა ზედმეტი სამხედრო ქონების ლიკვიდაციისათვის მოქმედების სრული ანგარიში.

ესპანელ კომუნისტთა თათბირი ტულუზაში

პარიზი, 8 დეკემბერი. (საკდესი). ესპანელ კომუნისტთა თათბირზე, რომელიც ამჟამად ტულუზაში მიმდინარეობს, სიტყვა წარმოსთქვა დოლორეს იბარურიმ. მან, კერძოდ, გამოარკვია ესპანეთის კომპარტიის ურთიერთობა ესპანეთის ხირალის ემიგრანტულ მთავრობასთან. „ხირალის მთავრობაში,—სთქვა მან,—წარმოდგენილი არ არიან არც კომპარტია, არც სოციალისტური პარტია, არც კატალონიის პარტიები და არც ბასკი ხალხი. ხირალის მთავრობა არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ორიენტაცია უნდა ავიღოთ ეროვნული ანტიფრანკისტული ფრონტის მთავრობაზე".

ესპანელ კომუნისტთა თათბირში მონაწილეობენ იბარური, ხუან კომორერა (კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი), გენერალი მოდესტო, პოლკოვნიკი ლისტერი და სხვ.

იაპონიის სამხედრო დამნაშავეთა მომავალი გასამართლება

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან იუწყება, რომ მთავარმა ამერიკელმა ბრალმდებელმა იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა მომავალ პროცესებში კენანმა განაცხადა, რომ სიებში შეტანილია 250-ზე მეტი კაცი, რომელთაც ბრალდებათ სხვადასხვანაირი დანაშაულობანი, რაც ჩადენილია მათ მიერ 1937 წლის ივლისიდან. სამხედრო დამნაშავეთა საქმეები განხილულ იქნება ჯგუფ-ჯგუფად.

ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

ლანჩხუთის რაიონი ახალი სამეურნეო წლის წინ

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეებმა 1945 წლისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ენერგიულად იმუშავეს. სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსავლისათვის ფართოდ იყო გაჩაღებული. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა რაიონმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ, სერიოზული წარმატებები მოიპოვა.

ჩაის, ციტრუსებისა და ტუნგოს დარგში

კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის 1945 წლის გეგმა, 1.100.000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 1.103.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, აქედან 803.000 კილოგრამი პირველი ხარისხისაა.

44 კოლმეურნეობიდან 27-ს ჩაის კრეფის გეგმები გადაჭარბებით აქვს შესრულებული. სოფელ ხიდმაღალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარედ გ. კეჰაყმაძეა, წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით — 160 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი ფოთლიდან 80 პროცენტზე მეტი პირველი ხარისხისაა. კარგი მაჩვენებლები აქვთ სოფელ ლესის მახარაძის (თავმჯდომარე გ. ხოფერია), ეწერის ორჯონიკიძის (თავმჯდომარე ვ.ჩხარტიშვილი), ნიგოეთის ლიბკნეხტის, ორაგვის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობებს.

ჩაის კრეფის დღიური ნორმების გადაჭარბებით შესრულებით თავი ისახელეს სტახანოველებმა: ლესაში — მარგალიტა კუნჭულიამ, მამათში — ქეთო კილაძემ, ქვემო აკეთში — იზა მორჩილაძემ, აცანაში — ნადია ჩხაიძემ, ქვემო ჩიბათში—ციცინო თევზაძემ.

მოწინავე კოლმეურნეობებმა წელს კარგად იმუშავეს ციტრუსების გაშენებასა და მოვლაზეც. პლანტაციებში გამორგეს 120.000-მდე ძირი მანდარინი, 16.500 ძირი ლიმონი, დასთესეს 3 ჰექტარი ტრიფოლიატი, მოაწყეს 22 ჰექტარი სანერგე, გეგმით გათვალისწინებული 1.100.000 ძირის ნაცვლად პიკირებულია 1.177.000 ცალი საძირე.

შარშანდელთან შედარებით რაიონში დამყნილია ერთიორად მეტი ციტრუსი, სულ ნახევარ მილიონზე მეტი, ხოლო გახარება გასული წლის 53 პროცენტის ნაცვლად 85 პროცენტს აღწევს.

სოფელ ქვემო შუხუთის საბჭოთა გმირების სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ორდენოსანი ქსენია ორაგველიძე) თვითეულ ძირ ციტრუსთან შეტანილია ორ ფუთამდე ნაკელი. პლანტაციები ოთხჯერ გათოხნეს, დროზე ჩაატარეს გაფხვიერება, გამოცელვა, მავნებლებისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ წამლობა. მცენარეები კარგად განვითარებულია. ციტრუსოვანთა პლანტაციები საუკეთესოდ მოვლილია აგრეთვე სოფელ ლესის, ხორეთის, გულიანისა და მამათის კოლმეურნეობებში.

რაიონში გაჩაღებულია ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა. კოლმეურნეობები წელს სახელმწიფოს 3 მილიონ ცალზე მეტ მანდარინსა და ლიმონს აბარებენ.

კოლმეურნეობებმა ტუნგოს პლანტაციებში გამორგეს 4.200 ძირი ნერგი, აღადგინეს 30 ჰექტარი ნარგავი, ბევრგან შეიტანეს ნაკელი, ნაკვეთები სამჯერ გათოხნეს და ორჯერ გამოცელეს, ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით მოაწყეს 0,26 ჰექტარი სანერგე. მიღებულია ტუნგოს უხვი მოსავალი. ტუნგოს ჩაბარების გეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდება.

ვენახის, ქარსაფარი ზოლის, ცოცხალი ღობის, დაფნის, ევკალიპტის, ბამბუკისა და აღმოსავლური ხურმის დარგში

ლანჩხუთელებმა მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მევენახეობის განვითარების საქმეს. კარგ შედეგსაც მიაღწიეს. უკვე გაშენებულია 121 ჰექტარი ვაზი, უმთავრესად ცოლიკოურის ჯიშისა. წელს დაამყნეს 25.000 ძირი ნერგი. ვენახები ექვსჯერ შეწამლეს, ზოგან კი შვიდჯერაც. დროზე ჩაატარეს გოგირდის შეფრქვევა და გათოხნა. კარგი მოვლის შედეგად რაიონში შარშანდელი 6 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი ყურძენი მოჰკრიფეს, მაშინ როცა გეგმა 35 ცენტნერს ითვალისწინებდა. სოფელ ჯურუყვეთის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ჩხაიძე) 1,5 ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მიიღო. კარგი მოსავალი მოიყვანეს სოფელ ზემოაკეთის 26 კომისრის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობებმა ნაყოფიერად იმუშავეს ქარსაფარი ზოლისა და ცოცხალი ღობის გაშენებისათვის. ქარსაფარი მცენარეები დამატებით გააშენეს, გათვალისწინებული 7 კილომეტრის ნაცვლად, 7,5 კილომეტრზე, ხოლო ცოცხალი ღობე — 14 კილომეტრზე, გეგმა კი 13 კილომეტრს ითვალისწინებდა. გარდა ამისა, კოლმეურნეობებში დაითესა 25 კილოგრამი წიწვიან მცენარეთა თესლი, დაკალმებულია 50.000 ძირი ალვის ხე და ჭანდარი. 40 ჰექტარი დაფნის პლანტაცია წელს ორჯერ გათოხნეს, 10 ჰექტარი გაზაფხულზე წინასწარ გადაბარეს, ხოლო 0,2 ჰექტარზე სანერგე მოაწყეს.

ევკალიპტი წელს დამატებით დარგეს, გეგმით გათვალისწინებული 15.000 ძირის ნაცვლად, 16.000 ძირი, სანერგეში კი 6 კილოგრამი თესლი დასთესეს. კოლმეურნეობებში გაშენდა 6 ჰექტარი ბამბუკი.

ლანჩხუთში კარგად ხარობს აღმოსავლური ხურმა. მიუხედავად იმისა, რომ ხეების დიდი უმრავლესობა ახალგაზრდაა, ბევრ ადგილას თვითეულმა ძირმა 2 ფუთზე მეტი ნაყოფი მოისხა. უხვი მოსავალი აქვს ისეთ ძვირფას ჯიშებს, როგორიც არის ხაშია, ტანენაში, ხიაკუმე. ხურმა დარგულია 7 ჰექტარზე. დამატებით ახალი პლანტაციების მოსაწყობად წელს 0,3 ჰექტარი სანერგე გააშენეს.

მეცხოველეობისა და მეაბრეშუმეობის დარგში

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის აქ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია: ბევრია ზღვისპირის საძოვრები, აგრეთვე თივა, ჩალა. საკმაოა საზაფხულო იალაღებიც. კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს აქვს სამი-ოთხი ფერმა. ზოგან ხუთი ფერმაც მოაწყეს. კოლმეურნეობებში მოშენებული ძროხების 90 პროცენტამდე წითელი მეგრული ჯიშისაა. ახლა რაიონში დამატებით აწყობენ ორ საჯიშე ფერმას, თვითეულს 50 სული პირუტყვის რაოდენობით, საიდანაც კოლმეურნეობებს წითელი მეგრული ჯიშის ბუღები და დეკეულები მიეცემათ. საკოლმეურნეო ფერმებისათვის აგებულია 105 სტანდარტული სადგომი, ხარებისათვის მოწყობილია 79 სადგომი, მეღორეობის ფერმებისათვის გამართულია 53 საღორე, ხოლო მეფრინველეობისათვის — 43 საქათმე.

წელს კოლმეურნეობებში გამოზრდილია 400-მდე მოზვერი, შენარჩუნებულია 1.099 სული ხბო და ზაქი, 1.400-ზე მეტი გოჭი. სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 5 სახის ფერმაა. აქ სულადობის მომრავლების გეგმა შესრულებულია. ასეთივე მდგომარეობაა ქვემო შუხუთის, ორაგვეს, მამათის და სხვა კოლმეურნეობებში.

ბევრგან შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის პროდუქტების ჩაბარების გეგმები. სოფელ ქვემო შუხუთის საბჭოთა გმირების სახელობის კოლმეურნეობამ წლიური დავალებები ვადამდე გაანაღდა, შემდეგ კი დამატებით წითელი არმიის ფონდში 1.700 კილოგრამი ხორცი ჩააბარა.

სერიოზული ყურადღება ექცევა მეაბრეშუმეობას. კოლმეურნეები კარგად იცნობენ ჭიის მოვლის წესს. საკმაო აქვთ შესაფერი ბინებიც. მეაბრეშუმეები ამ შესაძლებლობას ნაყოფიერად იყენებენ. წელს გამოკვებილ იქნა 3.500 კოლოფიდან მიღებული ჭია, გაცილებით მეტი, ვიდრე შარშან. გეგმით გათვალისწინებული 40 კილოგრამის ნაცვლად კოლოფზე საშუალოდ მიღებულია 42 კილოგრამი პარკი. ნიგოითის ლიბკნეხტის, ქალაქის უბნის სტალინის, მამათის ბერიას, ხიდმაღალის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებმა თვითეულმა გეგმის გადამეტებით ჩააბარა სახელმწიფოს 500-1500 კილოგრამი პარკი. დიდ წარმატებებს მიაღწიეს სტახანოველებმა. ზემოაკეთელმა კოლმეურნემ ფედოსი კუკულავამ გეგმა 270,8 პროცენტით შეასრულა, ლაშისღელის კოლმეურნეობის წევრმა ნინო ქელბაქიანმა—233,7, ორაგვისღელის კოლმეურნეობის წევრმა ეფროსინე ჩხაიძემ—201,3 პროცენტით. სტახანოვურად იმუშავეს აგრეთვე ხიდმაღალის კოლმეურნეობის წევრებმა აგრაფინა ჭყონიამ, ვერა დობორჯგინიძემ, ნადია დარჩიამ, ლანჩხუთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ალათი ჯორბენაძემ და პელო გვარჯალაძემ.

როგორ მუშაობდნენ მტს-ი და ჩაის ფაბრიკები

ლანჩხუთის მტს-მა (დირექტორი ნ. ლალაძე) ხვნა-თესვის, ფარცხვის, კულტივაციისა და სოიას ლეწვის გეგმები ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა. წლიური დავალება განაღდებულია 120 პროცენტით. დაზოგილია საწვავის 3,1 პროცენტი. აღდგენილი და დამზადებულია 12.000 მანეთის სათადარიგო ნაწილები, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9.000 მანეთის ნაწილებისა. ბრიგადამ, რომელსაც ვ. დოლიძე ხელმძღვანელობს, წლიური დავალება 154,8 პროცენტით შეასრულა და 1.683 კილოგრამი საწვავი დაზოგა. მოწინავე ტრაქტორისტს ივანე ორაგველიძეს წლიური დავალება 260,6 პროცენტით აქვს განაღდებული.

მტს-მა ვადამდე შეასრულა ტრაქტორების შეკეთების ოქტომბრისა და ნოემბრის გეგმები. რემონტში თავი ისახელეს დ. გოგელიას და ა. კვაჭაძის ბრიგადებმა.

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი დ. ცინცაბაძე) ჩაის მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 120 პროცენტით. ფაბრიკამ სახელმწიფოს მისცა ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი მოგება. უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალება ფაბრიკამ გაანაღდა 351,6 პროცენტით, ხოლო „ექსტრასი" 833,3 პროცენტით. დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალებაც. გეგმის გარეშე გამოშვებულია 120 კილოგრამი „საქართველოს თაიგული". ნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან მთავარი ტექნოლოგი გ. წილოსანი, საამქროს უფროსი დ. თარგამაძე, უფროსი ტიტესტერი ვ. თავაძე, უფროსი აგრონომი გ. ნიკოლაიშვილი და სხვ.

რა არ არის შესრულებული

შეჯიბრებით ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულება არ არის განაღდებული. ჩაის, ციტრუსების და სხვა პლანტაციები მხოლოდ ორჯერ გაითოხნა (ზოგან გაუთოხნავიც დარჩა), ნაკისრი ვალდებულება კი 3-4-ჯერ გათოხნას ითვალისწინებდა. 100 ჰექტარი ჩაის პლანტაცია დღესაც დასარევლიანებულია. გაუთოხნავი დარჩა 120 ჰექტარი სიმინდი. ჩაის, ციტრუსების, ვენახის პლანტაციებში არ შეუტანიათ 3.000 ტონა ნაკელი. სადრენაჟო და წყალსაწრეტი არხების რემონტი არ ჩაუტარებიათ 73.000 გრძივ მეტრზე. ბამბუკის გაშენების გეგმა მთლიანად არ არის შესრულებული.

მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობის გეგმა სანახევროდაც არ გაუნაღდებიათ. ზოგან მოუგვარებელია ციტრუსების პირუტყვისაგან დაცვა. გაჭიანურდა ჩაისა და ციტრუსების საშემოდგომო სამუშაოები. შეუსრულებელია თივის დამზადების 1945 წლის სახელმწიფო გეგმა.

სოფელ ჭანჭათის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში 30 ჰექტარი ჩაის პლანტაცია მხოლოდ ერთხელ გათოხნეს. პლანტაციები ათეული ჰექტარობით არის დასარევლიანებული ნიგვზიანის კალინინის, ხაჯალიას მიქოიანის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში. შრომის უბნის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. სულაბერიძე) პირუტყვისაგან დაზიანებულია 200 ძირი ციტრუსი, ზემოაკეთის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში—95 ძირი. ქვიანის წითელი ოქტომბრის, ჩოლობარგის კეცხოველის და მაჩხვარეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებში საზამთროდ არ მოუმზადებიათ 6.000-მდე ძირი ციტრუსი. მაჩხვარეთის კოლმეურნეობამ 2.000 ძირი ტრიფოლიატი დაუმყნელი დასტოვა. ბამბუკის გაშენების გეგმის შესრულებისათვის თავი არ შეუწუხებიათ ნიგვზიანის კალინინის, ხაჯალიას მიქოიანის, სოფელ ჩინოშვილის ე. ნინოშვილისა და გულიანის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობებს. ერთწლიანი კულტურების მოვლის საქმეში განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს აგარაკის, გუმბალაურისა და ლაშისღელის კოლმეურნეობებმა.

ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას 400 სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი საქონელი ჰყავს, მაგრამ ბინები არ უვარგა, დიდი რაოდენობით აკლია საკვებიც, ჩალა კი აუღებელი დასტოვეს. ასეთივე მდგომარეობაა ლაშისღელის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში. შრომის უბნის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში მოუვლელობის გამო პირუტყვის სიკვდილიანობას ჰქონდა ადგილი.

* * *

ლანჩხუთის მშრომელები ემზადებიან უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. სოფლად ახლა დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობაა. ამოცანა ის არის, რომ მასების ეს შემოქმედებითი აქტივობა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისა და მომავალი წლის უხვი მოსავლის პირობების შესაქმნელად.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადება აფხაზეთში

სოხუმი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 5 დეკემბრისათვის მოჰკრიფეს 33 მილიონი ცალი ციტრუსი, გეგმის 56 პროცენტი.

გეგმის შესრულებაში წინ არის სოხუმის რაიონი, რომელმაც სახელმწიფოს ჩააბარა 7 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსი, გეგმის 66 პროცენტი. ეშერის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

ციტრუსოვანთა კრეფა წარმატებით მიმდინარეობს გაგრისა და გულრიფშის რაიონებში. ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ უკვე მოჰკრიფა 4 მილიონი ცალი ციტრუსი. კრეფაში ჩამორჩენაა ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებში.

კარგად მუშაობენ ციტრუსების გადამმუშავებელი სოხუმისა და გალის პავილიონები. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გადაგზავნილია 133 ვაგონი ციტრუსი. ნაყოფის დახარისხებას, შეფუთვას და დაჩქარებით გადაგზავნას აფერხებს ყუთების სიმცირე.

ეროვნული

ყველგან უნდა გაისმოდეს მგზნებარე სიტყვა ბოლშევიკი აგიტატორისა

აგიტატორთა რაიონული თათბირი. ტრიბუნაზე: საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ხუჯაძე.

პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები

(საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ხუჯაძე)

პარტიული ორგანიზაციები ახალი, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანების წინაშე დგანან. არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის მათ უნდა დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები, სათავეში ჩაუდგნენ მათს პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, ღრმად შეასწავლონ ამომრჩევლებს საარჩევნო კანონი, სტალინური კონსტიტუცია.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ჩვენი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალი ძალით გააჩაღეს საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. საჭირო გახდა აგიტატორთა ახალი კადრების შერჩევა და წამოყენება. პარტიულმა ორგანიზაციებმა საარჩევნო კანონის პოპულარიზაციის გასაწევად მარტო მოსახლეობაში გაგზავნეს 600-ზე მეტი აგიტატორი.

საწარმო-დაწესებულებებში შეიქმნა დებულების შემსწავლელი 86 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია ორი ათასზე მეტი კაცი. ამას გარდა მოსახლეობაში შექმნილია 38 წრე, რომლებშიც ხუთასზე მეტი დიასახლისი სწავლობს არჩევნების დებულებას და სტალინურ კონსტიტუციას.

არჩევნებთან დაკავშირებით რაიონში შექმნილი 30 აგიტპუნქტი პოლიტიკური მუშაობის ნამდვილი კერები გახდა. იქ ყოველდღიურად ასობით ამომრჩეველი იყრის თავს. სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას, არჩევნების დებულებას, ამომწურავ პასუხს იღებენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან თბილისის საორთქლმავლო დეპოს, პლეხანოვის სახელობის კლუბის და კიროვის სახელობის ქარხნის აგიტპუნქტები.

არჩევნებთან დაკავშირებით რაიონში შექმნილია 56 აგიტკოლექტივი. სამაგალითოდ მუშაობენ „ცენტროლიტთან" არსებული აგიტკოლექტივი და ის აგიტკოლექტივები, რომლებსაც თელია, ახალაია, ელისაშვილი, მელიქ-ფაშაევი ხელმძღვანელობენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საკითხებს ფართოდ აშუქებენ საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთები. კარგად მუშაობს ამ მხრივ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის ბევრი კედლის გაზეთი.

დიდი სამუშაო მოგველის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგან საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შეუფასებლობას იჩენენ, ბევრი აგიტატორი ფორმალურად უდგება დაკისრებულ მოვალეობას, ყველა აგიტპუნქტი როდი წარმოადგენს პოლიტიკური მუშაობის კერას, ბევრგან სუსტია მუშაობა ახალგაზრდა ამომრჩეველთა და დიასახლისთა შორის.

საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა იმგვარად გაშალონ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რომ არ დარჩეს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც საფუძვლიანად არ იცნობდეს სტალინურ კონსტიტუციას, საარჩევნო კანონს. ამისათვის აუცილებელია ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება გავუწიოთ აგიტატორებს, პროპაგანდისტებს, ხშირად შევკრიბოთ ისინი, გავიგოთ, რა დახმარება სჭირდებათ, მოვაწყოთ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება.

განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება მოგვიხდება საარჩევნო უბნებში. არჩევნების ბედი საარჩევნო უბანში სწყდება. ამიტომ იგი უნდა გადავაქციოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ცენტრად.

ეს მუშაობა უნდა მოვაწყოთ ფართო მასებთან მჭიდრო კავშირში. ამომრჩეველთა ფართო მასებთან მჭიდრო, ყოველდღიური კავშირით უზრუნველვყოფთ არჩევნების წარმატებით ჩატარებას.

ჩვენი რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ამასთან სათანადო ძალებიც ჰყავთ იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას არჩევნებთან დაკავშირებით. საჭიროა ამ ძალების უნარიანად გამოყენება, მათდამი ყოველდღიური დახმარება.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მასების პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, რაც ასე საგრძნობი გახდა არჩევნებისათვის მზადების დღეებში. ყოველდღიური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით უზრუნველვყოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარება და ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოპოვება—აი რა ამოცანები აკისრიათ ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებს.

ასე ვზრდით ახალ კადრებს

(თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ამხ. ი. ჯილავდარიშვილი)

კომუნისტი მუხიგულაშვილი მოწინავე ზეინკალი იყო, მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებდა გეგმებს. ამასთან წარმატებით მუშაობდა საკუთარი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. მალე მას პარტბიურომ აგიტატორის საპატიო მოვალეობა დააკისრა. ახალგაზრდა აგიტატორს პირველი დღეებიდანვე იმედი გაუცრუვდა — მუშები ხალისს არ იჩენდნენ მისი საუბრებისადმი. მიზეზი ის იყო, რომ აგიტატორი ვერ არჩევდა საუბრის თემებს, არ უკავშირებდა მათ საწარმოო საკითხებს, არ იყენებდა თვალსაჩინოების საშუალებებს, საუბრის ნაცვლად ატარებდა ლექციას, როდესაც მსმენელს შეკითხვისთვისაც კი არ რჩება დრო. ყოველივე ეს რომ გამოვარკვიეთ, ნათელი გახდა, თუ რაში უნდა დავხმარებოდით მას.

— აგიტაციას, წარმატება რომ ჰქონდეს, საჭიროა კარგად იცნობდე საკუთარ აუდიტორიას, იცოდე ყოველი მუშის განწყობილება და იჩენდე გულისხმიერებას მისი პირადი და საწარმოო ცხოვრებისადმი, — ვურჩიეთ მუხიგულაშვილს. ეს რჩევა კარგად გამოიყენა აგიტატორმა. იგი მალე გახდა თავისი მსმენელების საწარმოო მასწავლებელიც. არაერთი ადამიანისათვის გაუწევია მას დახმარება წარმოების გარეთაც. ამ საქმეში აგიტატორს ყოველთვის ეხმარებოდა პარტბიუროს მდივანი, აგიტკოლექტივი.

მალე მუხიგულაშვილი სანიმუშო აგიტატორი გახდა. აგიტკოლექტივის ერთ-ერთ მეცადინეობაზე კიდეც ვუჩვენეთ სხვებს მისი მუშაობის მეთოდები. აგიტკოლექტივის ეს მეცადინეობა დიდი ინტერესით ჩატარდა. მას კარგი შედეგიც მოჰყვა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მუხიგულაშვილს ახლა გვერდს უმშვენებს გაგლოშვილი, მანაგაძე, ტოლმაჩევა, დევიცინა და ათობით სხვა მოწინავე აგიტატორი.

ასე ვზრდით აგიტატორს, ხოლო შემდეგ ვაზოგადებთ და ვნერგავთ მის დადებით გამოცდილებას.

ჩვენი კედლის გაზეთი

(სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საბარგო ვაგონების საამქროს კედლის გაზეთის — „ხარისხისათვის ბრძოლის" რედაქტორი ამხ. გორიანოვა)

როგორც კი გამოცხადდა არჩევნების დღე, შევიკრიბეთ ჩვენი კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრები. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საამქროს პარტორგმა ამხ. გოლოვინმა, შევადგინეთ კედლის გაზეთის მუშაობის ახალი გეგმა.

კედლის გაზეთის მორიგი ნომერი თითქმის მთლიანად მიეძღვნა არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საამქროში აგიტაციის მდგომარეობას. გაზეთში მოვათავსეთ საამქროს საუკეთესო აგიტატორების მ. ოხიაშვილის, კ. ანტიპოვის, ნ. აფხაზავას და რ. კარპოვის სტატიები, რომლებშიც ისინი მოუთხრობდნენ, თუ როგორ ეწევიან არჩევნების დებულების პოპულარიზაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის გამოცხადებამ საამქროში უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მოწინავე სტახანოველებმა არჩევნების აღსანიშნავად იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი. ჩვენი კედლის გაზეთი ფართოდ ასახავს მოწინავეთა ამ შრომითს ენტუზიაზმს. შემოვიღეთ სპეციალური რუბრიკა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად". ამ რუბრიკით სისტემატურად ვათავსებთ წერილებს, თუ როგორ ასრულებენ მუშები ნაკისრ ვალდებულებებს.

კედლის გაზეთის ყოველი ნომრისათვის გულდასმით ვარჩევთ ლოზუნგებს, ვათავსებთ ილუსტრაციებს ჩვენი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შესახებ, პოპულარულ წერილებს დებულების ცალკე საკითხებზე.

ამ ახლო ხანში ჩვენმა სარედაქციო კოლეგიამ აიღო შეფობა ლენინის რაიონის მე-11 აგიტპუნქტის კედლის გაზეთ „ამომრჩეველზე". დავეხმარეთ აგიტპუნქტს პირველი ნომრის გამოშვებაში.

თბილისის ლენინის რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და მოსახლეობაში ფართოდ არის გაშლილი მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ათას სამასამდე აგიტატორი ეწევა მასებში სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის პოპულარიზაციას.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა და გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ მოიწვიეს აგიტატორთა რაიონული თათბირი, პარტბიუროს მდივნების, კედლის გაზეთების რედაქტორების, პროპაგანდისტებისა და აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელების მონაწილეობით.

ვათავსებთ აგიტატორთა რაიონული თათბირის მასალებს.

პარტკაბინეტის მუშაობა რთული და მრავალფეროვანი გახდა

(საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტის გამგე ამხ. ა. ლაბახუა)

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში უმაგალითოდ გაიზარდა მასების პოლიტიკური აქტივობა. ბევრი მშრომელი, აგიტატორი და პროპაგანდისტი მოდის ყოველდღიურად რაიონულ პარტკაბინეტში საჭირო რჩევა-დარიგებისა და დახმარების მისაღებად. მუშაობა უფრო რთული და მრავალფეროვანი გახდა.

ამჟამად რაიონში ათას სამასამდე აგიტატორი სისტემატურად განუმარტავს მშრომელებს სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებს, ჩვენი ქვეყნის საარჩევნო კანონს, მის უპირატესობას, აცნობს საერთაშორისო ვითარებას და ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ამოცანებს, რაზმავს მათ ახალ სამეურნეო წარმატებათა მოსაპოვებლად. აგიტატორთა ამ არმიას ესაჭიროება დახმარება კვალიფიცირებული ლექტორებით, კონსულტანტებით.

ამ მიზნით გასულ თვეში რაიკომის პარტკაბინეტმა საარჩევნო კანონისა და სტალინური კონსტიტუციის ცალკეულ საკითხებზე ცხრა ლექცია მოაწყო, რომლებსაც ხუთასამდე კაცი დაესწრო. ლექციები იმართებოდა დიფერენცირებულად აგიტატორების, დიასახლისების, ახალგაზრდა ამომრჩევლებისა და მუშათა ფართო მასებისათვის. ამას გარდა, რაიკომის ძალებით მოეწყო 25 მოხსენება და 12 ჯგუფური კონსულტაცია, რომლებსაც ათასამდე ამომრჩეველი დაესწრო.

აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და მცირერიცხოვან დაწესებულებათა აგიტატორებისათვის ჩატარდა ექვსი აგიტსემინარი ქართულ და რუსულ ენებზე. პარტკაბინეტმა მოიწვია აგრეთვე კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი, რომელსაც 39 კაცი დაესწრო. რედაქტორებმა მოისმინეს საინსტრუქციო მოხსენება თემაზე—„ფაბრიკა-ქარხნების ძირეული პრესის ამოცანები მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით".

ახლა პარტკაბინეტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია აგიტპუნქტები, რომლებმაც ეს-ეს არის მუშაობა გაშალეს. მათ ჩვენ ვეხმარებით მოსახლეობასა და საწარმო-დაწესებულებებში საგიტაციო მუშაობის მაღალ დონეზე დასაყენებლად, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-დანერგვისათვის. კარგად მუშაობენ საზოგადოება „ლოკომოტივის" სასპორტო დარბაზში და კიროვის სახელობის ქარხნის სამმართველოს შენობაში მოთავსებული აგიტპუნქტები.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია. საჭიროა გავაძლიეროთ მეთოდური დახმარება პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისადმი. ეს საქმე დღემდე საგრძნობლად მოისუსტებს. უფრო მეტი და აქტიური დახმარება უნდა გავუწიოთ აგიტპუნქტებს ლექტორთა, მომხსენებელთა და კონსულტანტთა კვალიფიციური კადრებით. აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის საჭიროა შევადგინოთ სტატისტიკური მასალები რაიონის ცხოვრებიდან სტალინური კონსტიტუციის ცალკე თავების საილუსტრაციოდ.

აგიტპუნქტი—საგიტაციო მუშაობის კერა

(კიროვის სახელობის ქარხნის აგიტპუნქტის გამგე ამხ. ს. ქსოვრელი)

ჩვენი აგიტპუნქტის ზონაში მრავალი აგიტატორი და პროპაგანდისტი ეწევა სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის პოპულარიზაციას. მოსახლეობაში ჩამოყალიბებულია ოთხი წრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლად. მათ გამოცდილი პროპაგანდისტები ხელმძღვანელობენ. ამას გარდა, რამდენიმე აგიტატორი (ქოიავა, აფსაჯანიშვილი) ინდივიდუალურად ასწავლის საარჩევნო კანონს იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო არ შეუძლიათ წრეში სიარული.

აგიტპუნქტი ყოველდღიურ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს მათს მუშაობაში. სისტემატურად იმართება აგიტკოლექტივის მეცადინეობა, რომელზეც ხდება მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. პუნქტში დროდადრო ეწყობა ლექციები და მოხსენებები ამომრჩევლების, აგიტატორების, პროპაგანდისტების მიერ დაკვეთილ თემებზე. დღემდე ლექციები წაკითხულია შემდეგ საკითხებზე: „ჩვენი ქვეყნისა და კაპიტალისტური ქვეყნების საარჩევნო სისტემები", „ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება სტალინური კონსტიტუციის გამარჯვებაა" და სხვ.

აგიტპუნქტი მორთულია ლამაზად, წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით. მოწყობილია ფოტოსურათების, დიაგრამების, ლიტერატურის გამოფენები. აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში მომსვლელი იპოვნის მისთვის საჭირო ლიტერატურას. მორიგე კონსულტანტები საჭირო ახსნა-განმარტებას აძლევენ ამომრჩევლებს.

აგიტპუნქტი მშრომელებში საგიტაციო მუშაობის კერად რომ გახდეს, საჭიროა მან თავიდანვე შემოიკრიბოს აქტივი საარჩევნო უბნის მოწინავე ადამიანებისაგან. მასზე დაყრდნობით, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების დახმარებით პუნქტი შესძლებს სათავეში ჩაუდგეს მოსახლეობის გაზრდილ პოლიტიკურ აქტივობას, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს შეასწავლოს საარჩევნო კანონი, გასწიოს აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. ჩვენს აგიტპუნქტს ჰყავს კარგი აქტივისტები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ამხანაგები ჭელიძე, დევდარიანი, ხარგუაშვილი და მრავალი სხვა. ამ ამხანაგების მეშვეობით ჩვენ მტკიცე კავშირი გვაქვს უბნის მთელ მოსახლეობასთან და საჭირო მომენტში შეგვიძლია წარმატებით განვახორციელოთ დასახული ღონისძიება. ამიტომ არის, რომ ჩვენთან მუდამ დიდია ლექციებსა და მოხსენებებზე დამსწრეთა რაოდენობა. ყოველდღე ასამდე ამომრჩეველი მოდის პუნქტში სხვადასხვა საკითხებზე.

ახლო მომავალში აგიტპუნქტს განზრახული აქვს მოაწყოს დიასახლისთა ექსკურსია ავლაბრის რესტავრირებული ყოფილი არალეგალური სტამბის დასათვალიერებლად და შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან, აგრეთვე ძველ, კადრის მუშებთან.

კლუბი ამ დღეებში

(პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობის წევრი ამხ. ნ. ლოლაძე)

საწარმოში სტახანოვური მუშაობის შემდეგ საბჭოთა ადამიანს სურს კულტურულად დაისვენოს. იგი თავის გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

როგორ მუშაობს ამ მხრივ ჩვენი რაიონის კლუბი?

სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები არჩევნების დებულების ცალკეულ საკითხებზე, იმართება სპეციალური მხატვრული საღამოები წინასწარ შერჩეული რეპერტუარით. არჩევნებისათვის მზადების ინტერესებისადმია დაქვემდებარებული კინო-თეატრის მუშაობაც. ამ დღეებში ნაჩვენები იყო „უძლეველნი", „გამარჯვების პარადი" და სხვა პატრიოტული კინოფილმები.

27 ნოემბერს კლუბმა მოაწყო ახალგაზრდა ამომრჩეველთა საღამო. საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების მოწაფეთათვის ჩატარდა საუბარი სტალინური კონსტიტუციის შესახებ. კლუბმა ფართოდ გაშალა საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა სტალინის სახელობის ქარხანაში და საერთო საცხოვრებლებში. დიასახლისებისათვის მოეწყო ოთხი საუბარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. კლუბმა საკუთარი ძალებით ნოემბერში თერთმეტი ლექცია და რვა კონცერტი მოაწყო ქარხანაში. ქარხნის რადიოკვანძის მეშვეობით გადაცემულ იქნა კონცერტი, რომლის პროგრამა შეასრულა კლუბის მხატვრული თვითმოქმედების წრემ.

ყოველივე ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. ახლა მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაიშალოს. განზრახული გვაქვს შევქმნათ საკუთარი აგიტბრიგადა, რომელიც მოემსახურება რაიონისა და თბილისის რკინიგზის კვანძის აგიტპუნქტებს. სამუშაო გეგმა ითვალისწინებს გორში ამხანაგ სტალინის სახლის დასათვალიერებლად ახალგაზრდა ამომრჩეველთა ექსკურსიების მოწყობას. ასეთივე ექსკურსიები მოეწყობა თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. დეკემბერში გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ამხ. დ. ჰეჟინაძესთან შეხვედრის საღამო. შემდეგში სისტემატურად მოეწყობა დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან.

ჩვენს სიტყვას პირნათლად შევასრულებთ

(ვაჟთა მე-17 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. მალაციძე)

ჩვენი სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია ენერგიულად ეხმარება დირექციას და პარტიულ ორგანიზაციას არჩევნებისათვის მზადებაში.

ამას წინათ მოვიწვიეთ კომკავშირული ორგანიზაციის ღია კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებისადმი. მოვისმინეთ სკოლის დირექტორის ამხ. ბიბილეიშვილის მოხსენება ჩვენი ამოცანების შესახებ. კრებამ დასახა ღონისძიებანი. ზოგიერთი რამ უკვე გავაკეთეთ. მონაწილეობა მივიღეთ სკოლის შენობის გაფორმებაში. კომკავშირელებმა დაამზადეს ლოზუნგები და პლაკატები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით მორთეს სკოლის კედლები. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ სასკოლო ბიბლიოთეკის, აგიტპუნქტის მოწყობა-გაფორმებაში.

დირექციას ვთხოვეთ უფროსკლასების მოსწავლეებისათვის მოეწყო საუბრები სსრ კავშირის კონსტიტუციის საკითხებზე. მან ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილა.

ჩვენი სკოლის მრავალი მოსწავლე წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა პარლამენტის არჩევნებში. ისინი მოუთმენლად მოელიან 10 თებერვალს. მოსწავლეები გვენეტაძე, ქერივიშვილი, ლომიძე, ჯიქიძე, მანჩხაია იბრძვიან იმისათვის, რომ მაღალი აკადემიური წარმატებით შეხვდნენ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

ჩვენს სიტყვას პირნათლად შევასრულებთ.

ვამოწმებთ დავალებათა შესრულებას

(26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანი შ. გველესიანი)

ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის და მოსახლეობაში სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის პოპულარიზაციას ეწევა ორმოცდაათამდე აგიტატორი. მათს უმრავლესობას აქვს წარსული არჩევნების დროს და სამამულო ომის დღეებში საგიტაციო მუშაობის წარმოების თვალსაჩინო გამოცდილება. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა აგიტატორი კარგად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას. არიან სუსტი და ზოგჯერ ცუდი მუშაკებიც. ამას თუ დავუმატებთ, რომ ახლა აგიტატორების მუშაობა უფრო რთული და მრავალფეროვანი შეიქნა, გასაგები გახდება, თუ რაოდენ აუცილებელია პარტიული ორგანიზაციების მხრივ ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისადმი.

შესრულების შემოწმების კარგად დაყენება შესაძლებელს ხდის მუდამ ვიცოდეთ როგორ ასრულებს კომუნისტი-აგიტატორი პარტიულ დავალებას. უნარიან ამხანაგს ვუწევთ სათანადო დახმარებას, ვასწავლით აგიტატორის ხელოვნებას, ხოლო ამ საქმისათვის შეუფერებელთ ვათავისუფლებთ, ვიყენებთ სხვაგან მისი სურვილისა და უნარის მიხედვით.

დახმარება რომ კონკრეტული და საქმიანი იყოს, საჭიროა პარტიული ხელმძღვანელი ხშირად მიდიოდეს საგიტაციო უბანში და ადგილზე ამოწმებდეს აგიტატორების მუშაობას. შემოწმების შედეგებს ჩვენ პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგნად ვხდით და ვიბრძვით ნაკლოვანებათა აღსაკვეთად. პარტიული კრების გადაწყვეტილებით აგიტატორებისათვის მოეწყო ლექციების ციკლი საარჩევნო კანონის შესახებ. აგიტკოლექტივის მეცადინეობის გეგმაში შეტანილ იქნა ახალი საკითხები.

აგიტატორები სათავეში ჩაუდგნენ ქარხნის მუშათა საწარმოო აღმავლობას, ხელს უწყობენ სტახანოველთა გამოცდილების დანერგვას. ყოველივე ამან ქარხანაში უმაგალითო შრომითი აღმავლობა გამოიწვია. წარსულ თვეში ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა. მანქანათმშენებლები დეკემბერშიც მზარდი ტემპებით მუშაობენ.

დიასახლისებთან

(დიასახლისთა შორის მომუშავე აგიტატორი გ. ნემსაძე)

ჩემი მომავალი აუდიტორიის ზუსტი სიის დადგენით, ბინის შერჩევით და საუბრების დროს დაწესებით დავიწყე უბანში დიასახლისებთან ჩემი საგიტაციო მოღვაწეობა.

გულმოდგინედ მოვემზადე პირველი საუბრისათვის, რომელიც 25 ოქტომბერს ჩავატარე. ამ დღეს დიასახლისებს ვესაუბრე „პრავდის" მოწინავეზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ. ეს იყო არჩევნების დებულების გაცნობა ზოგადად. შემდეგ შევუდექი დებულების შესწავლას დეტალურად, ცალკე თავების მიხედვით. საუბრის დროს ვიყენებ შედარებითს მეთოდს, მომყავს ფაქტები ბურჟუაზიულ ქვეყნებში არჩევნების ჩატარების შესახებ. განვუმარტავ, რომ საზღვარგარეთ არჩევნების უფლებას ქონებრივი ცენზი განსაზღვრავს, რომ ბევრგან ქალებს, უმუშევრებს, სოფლის მეურნეობის მუშებსა და ჯარისკაცებს ხმის უფლება არა აქვთ. საუბრის დროს ვიყენებ რუკას. როდესაც ვლაპარაკობ რომელიმე სახელმწიფოზე მსმენელებს ვუჩვენებ მის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. მსმენელთა დიდ ინტერესს იწვევს საუბრები საქართველოს ისტორიიდან სახელოვან მამულიშვილებზე, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. დიდი ხალისით ისმენენ დიასახლისები ქართველი მეომრების საგმირო ეპიზოდებს სამამულო ომში.

მაგრამ მარტო აგიტსაუბრებით როდი ამოიწურება დიასახლისებთან მუშაობა. მე მოვაწყე მათი ექსკურსია ავლაბრის რესტავრირებული ყოფილი არალეგალური სტამბის დასათვალიერებლად. დიასახლისებმა კოლექტიურად ნახეს კინოფილმები „ოქროს ბილიკი" და „უძლეველნი". ამას გარდა, ისინი სისტემატურად დადიან აგიტპუნქტში. მის მოწყობაში ბევრმა მათგანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ დღეებში ჩემი უბნიდან 11 დიასახლისი დაესწრო ამხ. ხუნტუას ლექციას „საბჭოთა საარჩევნო სისტემა", რომელიც აგიტპუნქტმა გამართა.

ამას წინათ დავეხმარე დიასახლის ჟორიძეს, რომელსაც ქრონიკული სნეულებით დაავადებული შვილი ჰყავს. მე მას მივუყვანე დეპოს ექიმი, რომელიც მკურნალობს ავადმყოფს.

ასეთი ორგანიზატორული მუშაობის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა დიასახლისთა პოლიტიკური აქტივობა. ისინი მონდომებით სწავლობენ საარჩევნო კანონს. აგიტატორი ორგანიზატორიც უნდა იყოს, თუ გსურს შენს მუშაობას წარმატება ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

10 დეკემბრის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 10 დეკემბერი. (საქდესი). ტრიბუნალის 10 დეკემბრის დილის სხდომა გაიხსნა ტრიბუნალის თავმჯდომარის ლორდ ლოურენსის ცნობით იმის შესახებ, რომ დამცველებს შესაძლებლობა მიეცემათ წარმოსთქვან დაცვის მხოლოდ ერთი სიტყვა სასამართლო ძიების დამთავრებისას. შემდეგ გამოვიდა ამერიკელი ბრალმდებელი ოლდერმენი. მან წარმოსთქვა საფუძვლიანად დოკუმენტირებული სიტყვა, რომელიც მიძღვნილი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული შეთქმულების გამომჟღავნებისადმი. ოლდერმენს მოჰყავს დოკუმენტის ნაწილები სახელწოდებით „დირექტივა № 21". ეს არის „ბარბაროსას გეგმა" ჰიტლერის ბრძანების სახით. ეს დოკუმენტი, როგორც ცნობილია, ხელმოწერილი იყო ჰიტლერის მიერ 1940 წლის 18 დეკემბერს. ოლდერმენს მოჰყავს ამ დოკუმენტის მხოლოდ შემდეგი პარაგრაფები: „გერმანიის შეიარაღებული ძალები მომზადებულ უნდა იქნან საბჭოთა რუსეთის დამარცხებისათვის სწრაფ კამპანიაში ინგლისის წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე".

გამოსტოვა რა მითითებები, რომლებიც მიეცა ცალკე გვარეობის ჯარებს, ოლდერმენმა მოიყვანა შემდეგი ციტატა: „სამზადისი, რასაც დიდი დრო სჭირდება—თუ ის ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული—უნდა დაიწყოს ახლავე და დამთავრდეს 1941 წლის 15 მაისს. უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ თავდასხმის გეგმა არ გამჟღავნდეს". ბრალმდებელი ამთავრებს ამ დოკუმენტის ციტირებას ჰიტლერის ბრძანების უკანასკნელი პარაგრაფით: „მე მოველი მთავარსარდლების მოხსენებებს მათი შემდგომი გეგმების შესახებ, რომლებიც უნდა გამომდინარეობდნენ ამ ინსტრუქციიდან. იმ სამზადისის შესახებ, რასაც გეგმავენ ყველა გვარეობის შეიარაღებული ძალები, უნდა მომხსენდეს უმაღლესი სარდლობის საშუალებით".

—ამ დოკუმენტიდან,—ამბობს ოლდერმენი, —სავსებით ნათლად სჩანს, რომ ეს არის არა მარტო გეგმა, არამედ ბრძანება აგრესიის შესახებ. ამ ბრძანების შესაბამისად სხვადასხვა გვარეობის ჯარებმა დაიწყეს მზადება საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. ამასთან მთავარი ყურადღება ეთმობოდა იმას, რომ ეს თავდასხმა რაც შეიძლება მოულოდნელი ყოფილიყო. ამის დასამტკიცებლად ბრალმდებელი იმოწმებს საზღვაო შტაბის ოპერატიულ დღიურს, რომელშიც 1941 წლის 30 იანვარს ჩაწერილი იყო, რომ შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსთან თათბირზე დადგენილ იქნა „მოულოდნელი დარტყმებით რუსეთის ფლოტის მწყობრიდან გამოყვანის" საშუალებები.

შემდეგ ბრალმდებელს მოჰყავს საზღვაო შტაბის ოპერატიული დღიურის ციტატები და გვიჩვენებს, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მზად იყო სსრ კავშირზე თავდასასხმელად თავდასხმის თარიღამდე ბევრად ადრე. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სხვა გვარეობის ჯარები. „სსრ კავშირზე თავდასხმა,—ამბობს ბრალმდებელი, — იყო ერთ-ერთი ყველაზე წინასწარგანზრახული და გულცივად მოფიქრებული თავდასხმა ყველა ომების ისტორიაში".

გვიჩვენებს რა ჰიტლერელთა გულდასმით მზადებას, ოლდერმენს მოჰყავს 1941 წლის 3 თებერვალს ჰიტლერთან შემდგარი კონფერენციის ანგარიში „ბარბაროსას გეგმის" შესახებ. ამ თათბირს, ჰიტლერს გარდა, ესწრებოდნენ კაიტელი, იოდლი, არმიის მთავარსარდალი, არმიის გენერალური შტაბის უფროსი, ოპერატიული განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი შმიდტი და ორი სხვა ოფიცერი. თათბირმა მოისმინა არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოხსენება და დასახა სხვადასხვაგვარი საომარი გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ზომები. ამ დოკუმენტიდან სჩანს, რომ გარდა „ბარბაროსას გეგმისა" (სსრ კავშირზე თავდასხმა), ჰიტლერელები იმავე დროს იმუშავებდნენ „ატილას გეგმას" (არაოკუპირებული საფრანგეთის დარჩენილი ნაწილის დაპყრობის გეგმა), „ფელიქსის გეგმას" (გიბრალტარის დაპყრობა), „ზღვის ლომის გეგმას" (ომი ინგლისის წინააღმდეგ) და „მარიცას გეგმას" (ომი საბერძნეთის წინააღმდეგ). „მარიცას გეგმის" განმარტების დროს ჰიტლერმა გადმოისროლა რეპლიკა — „როცა „ბარბაროსას გეგმა" მოქმედებაში იქნება მოყვანილი, მთელი მსოფლიო სულს განაბავს და არავითარ შენიშვნას არ გაგვიკეთებს". განხილვის შედეგად თათბირი მივიდა ზოგიერთ დასკვნებამდე, რომლებიც ანგარიშში შემდეგნაირად არის მოცემული:

„პირველი—ბარბაროსა.

ა) ფიურერი მთლიანად ეთანხმება ოპერატიულ გეგმას. როცა გეგმა შესრულების პროცესში იქნება, უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარ მიზანს წარმოადგენს ბალტიის სახელმწიფოებისა და ლენინგრადის დაპყრობა.

ბ) ფიურერს სურს, რომ ოპერატიული რუკა და ჯარების განლაგების გეგმა გაეგზავნოს მას რაც შეიძლება მალე.

გ) შეთანხმებანი მეზობელ სახელმწიფოებთან შეიძლება დადებულ იქნას მას შემდეგ, როდესაც საჭირო აღარ იქნება შენიღბვა. გამონაკლისს შეადგენს რუმინეთი.

დ) საჭიროა, რადაც უნდა დაჯდეს, შევასრულოთ „ატილას გეგმა" (დამხმარე ზომა).

ე) სტრატეგიული კონცენტრაცია „ბარბაროსას გეგმის" შესრულებისათვის შენიღბული იქნება როგორც სამზადისი „ზღვის ლომის გეგმისათვის" და როგორც დამხმარე ზომები „მარიცას გეგმისათვის".

შემდეგ ოლდერმენს მოჰყავს ახალი დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1941 წლის 13 მარტით და ხელმოწერილია ბრალდებულ კაიტელის მიერ. ამ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სს-ის როლს. „სს-ის რაიხსფიურერმა,—ნათქვამია დოკუმენტში, — ფიურერისაგან მიიღო რწმუნებანი ჩაატაროს სამზადისი პოლიტიკური ადმინისტრაციისათვის. იმ ამოცანების ჩარჩოებში, რაც მას ეკისრება, სს-ის რაიხსფიურერი იმოქმედებს დამოუკიდებლად და მისი საკუთარი პასუხისმგებლობით. აღმასრულებელი ხელისუფლება, რაც არმიის მთავარსარდალს და მის ორგანოებს აქვთ მიცემული, ამ ბრძანებით არ შეილახება. სს-ის რაიხსფიურერი პასუხისმგებელია, რომ მისთვის დავალებული ამოცანების შესრულებამ ხელი არ შეუშალოს საომარი ოპერაციების ჩატარებას. დეტალები შეთანხმებულ უნდა იქნას უშუალოდ არმიის უმაღლეს მთავარსარდლობასა და სს-ის რაიხსფიურერს შორის.

როგორც კი ოპერატიული სივრცე საკმაო სიღრმეს მიაღწევს, ის შეზღუდული უნდა იყოს ზურგში. ოპერატიული სივრცის ზურგში ახლად ოკუპირებულმა ტერიტორიამ უნდა მიიღოს საკუთარი პოლიტიკური ადმინისტრაცია. ახლანდელ მომენტში, საარმიო ჯგუფების გენეალოგიური ბაზისისა და პოზიციების თანახმად, ეს ტერიტორია დაყოფილ უნდა იქნას შემდეგნაირად: ჩრდილოეთი (ბალტიისპირეთის სახელმწიფოები), ცენტრი (ბელორუსია) და სამხრეთი (უკრაინა). ამ ტერიტორიების პოლიტიკურ ადმინისტრაციას სათავეში ეყოლება საიმპერიო კომისრები, რომლებიც ბრძანებებს მიიღებენ ფიურერისაგან.

საომარი ამოცანების შესრულება იმ ტერიტორიებზე, რომლებიც პოლიტიკური ადმინისტრაციის გამგებლობაში იმყოფება, ეკისრება მთავარმართებელ ოფიცრებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის წინაშე. მთავარმართებელი ოფიცერი წარმოადგენს სათანადო ტერიტორიაზე შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს წარმომადგენელს და სამხედრო სუვერენული უფლებების მატარებელს. მას აქვს ტერიტორიული მეთაურის ამოცანა და უმაღლესი საარმიო მეთაურის ან სარდალ-გენერლის უფლებები. როგორც ასეთი, იგი პირველ ყოვლისა, პასუხისმგებელია შემდეგი ამოცანებისათვის:

1) მჭიდრო თანამშრომლობა საიმპერიო კომისართან პოლიტიკური ამოცანების შესრულებისას მისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

2) სახელმწიფოს ექსპლოატაცია და მის ეკონომიურ ფასეულობათა შენარჩუნება გერმანიის მრეწველობისათვის გამოსაყენებლად.

იმავე დოკუმენტში არის პარაგრაფი, რომლითაც გერინგს ენიჭება საგანგებო რწმუნებები „ეკონომიკის ორგანიზაციის კოორდინირებული წარმართვისათვის ოპერაციების რაიონებში და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც პოლიტიკური ადმინისტრაციის მმართველობაშია".

შემდეგ ბრალმდებელი ჩამოსთვლის ამ დოკუმენტის ცალკე თავებს, რომლებიც ეხება ტრანსპორტს, მომარაგებას, პირად შემადგენლობას, და ლაპარაკობს იმ ზომებზე, რომლებიც ევალებოდა უმაღლეს სარდლობას რუმინეთთან, სლოვაკიასთან, უნგრეთთან, ფინეთთან და შვეციასთან საჭირო შეთანხმებათა დადების მხრივ.

ბრალმდებელმა სასამართლოს წარუდგინა საზღვაო შტაბის ოპერატიული დღიური, რომლის საფუძველზეც იგი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა ნავარაუდევი იყო უფრო ადრე. ვიდრე ეს ფაქტიურად მოხდა, მისი სიტყვით შეფერხება გამოწვეული იყო იუგოსლავიის ამბებით, რასაც მოჰყვა გერმანიის თავდასხმა ამ სახელმწიფოზე.

1941 წლის 3 აპრილს ამ დღიურში ჩაწერილი იყო, რომ „ბალკანეთის ოპერაციებმა ბარბაროსა ხუთი კვირით შეაჩერეს. ფიურერის ბრძანების თანახმად, ყოველგვარი ღონისძიება, რომელიც შეიძლება განხილულ იქნას როგორც შეტევითი მოქმედება, უნდა შეჩერდეს".

თავდასხმამდე ორი კვირით ადრე—1941 წლის 6 ივნისს—ჰიტლერი ამტკიცებს ოპერაციის დაწყების განრიგებას. დადგინდა არა მარტო თარიღი, არამედ თავდასხმის საათიც. ყველა გვარეობის ჯარს მიეცა კონკრეტული ამოცანა. ბრალმდებელი დაწვრილებით ლაპარაკობს ამ განრიგებაზე, რომელიც გაეგზავნა ყველა გვარეობის შეიარაღებულ ძალთა სარდლებს. ტრიბუნალის თავმჯდომარის შენიშვნაზე, საჭიროა თუ არა ყველა ამ დეტალის ჩამოთვლა, ოლდერმენი უპასუხებს დადებითად, იმიტომ რომ ყველა ეს დეტალი ასურათებს, რომ ჰიტლერელმა შეთქმულებმა გულცივად, ვადამდე ადრე და წინასწარგანზრახვით მოიფიქრეს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ყველა წვრილმანი.

1941 წლის 9 ივნისს ბერხტესგადენში ჰიტლერთან შესდგა „ბარბაროსას გეგმისადმი" მიძღვნილი სპეციალური კონფერენცია. ამ კონფერენციაში, რომელმაც დაამტკიცა სსრ კავშირზე თავდასხმის საბოლოო გეგმა, ჰიტლერს გარდა, მონაწილეობა მიიღეს გერინგმა, რედერმა, კაიტელმა, იოდლმა და სხვებმა. ბრალმდებელი აქვეყნებს ამ თათბირის ანგარიშს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჯერ ერთი, ფაშისტ შეთქმულთა ვერაგობას, მეორე, ამ საზიზღარ შეთქმულებაში გერმანიის სამხედრო ხროვის მონაწილეობის ფაქტს. ამასთან ბრალდებულები გერინგი, კაიტელი, იოდლი და რედერი იყვნენ არა მარტო აქტიური შეთქმულნი, არამედ შეთქმულების ინიციატორებიც. მათ დაამუშავეს ამ შეთქმულების დეტალები. მათ მოამზადეს გერმანიის შეიარაღებული ძალები სსრ კავშირზე თავდასხმისათვის და აგრესიული ომისათვის საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ.

„ნაცისტ შეთქმულთ,—ამბობს ოლდერმენი, —ამოძრავებდათ ხარბი მისწრაფება ხელში ჩაეგდოთ სსრ კავშირის ნედლეული და სურსათი მათი სამხედრო მანქანის დასახმარებლად".

ბრალმდებელს მოჰყავს გენერალ ტომასის განცხადება, რომელიც პასუხს აგებდა გერმანიის შეიარაღების ეკონომიური უზრუნველყოფისათვის, იმის შესახებ, რომ გერინგმა მას 1940 წლის ნოემბერში უბრძანა დაეწყო სამზადისი სსრ კავშირის ნედლეული სიმდიდრისა და სამრეწველო რესურსების ექსპლოატაციისათვის. ამ მიზნით გენერალ ტომასის შტაბს უნდა შეეგროვებინა უდიდესი საცნობარო მასალა ხუთ ძირითად დარგში: 1) რუსეთის სამხედრო მრეწველობის დეტალური აღწერა, 2) ცალკეულ მსხვილ ქარხანათა ნაყოფიერების აღრიცხვა, 3) ნედლეულის წყაროების შესწავლა, 4) შეგროვება ძირითადი ცნობებისა არასამხედრო მრეწველობის შესახებ და 5) ცნობების მიღება ელექტროსადგურების სიმძლავრისა და სათბობის მარაგის შესახებ. მკვლევართა და სტატისტიკოსთა უდიდესი შტაბის მრავალი თვის მუშაობის შედეგად გენერალ ტომასის უწყებამ შესძლო უმდიდრესი საცნობარო მასალის შეგროვება.

1941 წლის 1 მარტს გენერალ ტომასთან შესდგა სპეციალური თათბირი. ოლდერმენმა ტრიბუნალს წარუდგინა მემორანდუმი ამ თათბირის შესახებ. მემორანდუმში, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის სიმდიდრეთა ექსპლოატაციის საქმე იწარმოებს გერინგის ხელმძღვანელობით, რომელმაც განკარგულება გასცა შეიქმნას საგანგებო ფრიად განშტოებული ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას გერმანია უნდა უზრუნველეყო არა მარტო საჭირო ნედლეულით, არამედ სამრეწველო მოწყობილობითაც გერინგის მიერ შედგენილი ოთხწლიანი გეგმის განსახორციელებლად. „ორგანიზაციის მთავარი ამოცანა,— ნათქვამია დოკუმენტში,—ის უნდა იყოს, რომ ხელში ჩავიგდოთ ნედლეული და ყველა მნიშვნელოვანი სამრეწველო კონცერნი. უკანასკნელი ამოცანის შესასრულებლად ორგანიზაციამ უნდა მიიღოს საიმედო პერსონალი გერმანიის სამრეწველო კონცერნებიდან". მემორანდუმი დაწვრილებით ჩამოსთვლის საბჭოთა ტერიტორიების გაძარცვის ღონისძიებებს და აღნიშნავს ნაბიჯებს, რომლებიც გადადგმულ უნდა იქნას სამხედრო სარდლობასთან და სხვა ორგანიზაციებთან კონტაქტის დასამყარებლად.

ჰიტლერელ მკვლელთა და მოძალადეთა არმიას კვალდაკვალ უნდა მიჰყოლოდა კვალიფიციურ მაროდიორთა არმია. თვითეული ახალი დოკუმენტი, როგორც ბრალმდებელი განუწყვეტლივ ხაზგასმით აღნიშნავს, კვლავ და კვლავ ამხილებს ჰიტლერელ შეთქმულთა გულცივ კალკულაციას. ისინი ისწრაფოდნენ გაეძარცვათ და პირწმინდად გაექურდათ თავიანთი აგრესიის მსხვერპლი, წაერთმიათ აგრესიაგანცდილი ხალხებისათვის სურსათი, ქარხნები, ნედლეული და თვით მუშახელი. ჰიტლერელებმა წინდაწინვე იცოდნენ, რომ ეს გამოიწვევდა არა მარტო ქვეყნის ნგრევას, არამედ შიმშილით სიკვდილის მასობრივ შემთხვევებსაც. მაგრამ ჰიტლერელი შეთქმულები სწორედ ამის მიღწევას ცდილობდნენ. ოლდერმენი აქვეყნებს ახალ დოკუმენტს. ეს არის ანგარიში სხვადასხვა გვარეობის შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლების კონფერენციის შესახებ, რომელიც 1941 წლის 29 აპრილს შესდგა. კონფერენციის მიზანია „ბარბაროსას გეგმის" „ეკონომიური მხარის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მოქცევა". დოკუმენტის პირველ კარს ეწოდება „ბარბაროსა—ოლდენბურგი". დოკუმენტში ნათქვამია: „როგორც უკვე ცნობილია, ფიურერმა, წინააღმდეგ უწინდელი პროცედურისა, ბრძანა ერთ ხელში გაერთიანდეს მთელი ეკონომიური ოპერაციები და რაიხსმარშალს დაავალა ეკონომიური ადმინისტრაციის საერთო ხელმძღვანელობა ოპერაციების რაიონებში, აგრეთვე იმ რაიონებში, რომლებიც პოლიტიკური ადმინისტრაციის გამგებლობაში იმყოფებიან. რაიხსმარშალმა ეს ფუნქციები გადასცა გენერალურ ეკონომიურ შტაბს, რომელიც სამრეწველო შეიარაღების სამმართველოს დირექტორის ხელმძღვანელობით მუშაობს. რაიხსმარშალისა და გენერალური ეკონომიური შტაბის ხელმძღვანელობაში, რომლებიც გერმანიის შეტევის რაიონებში უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ, არის სპეციალურ დავალებათა შესასრულებლად შექმნილი ოლდენბურგის ეკონომიური შტაბი. შტაბს სათავეში უდგას გენერალმაიორი შუბერტი. მას, გეოგრაფიული დაყოფის შესაბამისად, ემორჩილებიან: ხუთი ეკონომიური ინსპექტორატი, 23 ეკონომიური რაზმი და 12 ქვესამმართველო, რომლებიც განლაგდებიან მნიშვნელოვან ადგილებში, ეკონომიური რაზმების ტერიტორიების ფარგლებში". დოკუმენტში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ყველა ამ ორგანიზაციის ამოცანები, აგრეთვე თითქმის მთელი საბჭოთა ტერიტორიის გეოგრაფიული დაყოფა ცალკეულ ინსპექტორატებს შორის.

გადადის რა პოლიტიკურ მიზნებზე, რომლებსაც ჰიტლერელი შეთქმულნი ისახავდნენ, ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ჰიტლერელთა ბანდას უნდოდა მოესპო საბჭოთა კავშირი, როგორც მძლავრი პოლიტიკური ფაქტორი ევროპაში, რაც მათ გაუადვილებდა ევროპის ხალხთა დამონებას. ბრალმდებელი აქვეყნებს ბრალდებულ როზენბერგის დიდ მემორანდუმს, რომელიც მას 1941 წლის 3 აპრილს შეუდგენია. საბჭოთა კავშირის სიმდიდრეთა უკეთესი ექსპლოატაციისა და მის ხალხთა დამონებისათვის როზენბერგი წინადადებას იძლევა მთელი საბჭოთა ტერიტორიები დაიყოს რამდენიმე ცალკეულ სახელმწიფოდ.

„შემდეგი კონსტრუქტიული გეგმა,--სწერს როზენბერგი, — გამომდინარეობს ზემოაღნიშნულიდან:

პირველი—ცენტრალური დეპარტამენტის შექმნა სსრ კავშირის ყველა ოკუპირებული ტერიტორიისათვის. ამ დეპარტამენტმა უნდა იმუშაოს იმპერიის უმაღლეს ორგანოებთან თანამშრომლობით, რათა ა) გამოსცეს სავალდებულო პოლიტიკური ინსტრუქციები ადმინისტრატიულად დაუკავშირებელი ცალკეული რაიონებისათვის და არ დაივიწყოს არსებული მდგომარეობა და ის მიზნები, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას. ბ) უზრუნველჰყოს იმპერიისათვის საჭირო მომარაგების გამოზიდვა ყველა ოკუპირებული რაიონიდან. გ) ჩაატაროს მზადება ყველა რაიონისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებათა გასატარებლად, როგორიცაა, მაგალითად: ფინანსები, ფონდები, ტრანსპორტი, ნავთის, ქვანახშირისა და სურსათის წარმოება.

მეორე—გატარება მკვეთრად გამოსახული დეცენტრალიზაციისა რასობრივი პრინციპის მიხედვით ან პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლებზე დაჯგუფებულ ცალკეულ ადმინისტრატიულ რაიონებში, ამასთან მათ სულ სხვადასხვა ეკონომიური ამოცანები უნდა მიეცეთ".

1941 წლის 20 აპრილს როზენბერგი დანიშნულ იქნა „ფიურერის" მთავარ რწმუნებულად ეგრეთწოდებული აღმოსავლეთი ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დანიშვნისთანავე როზენბერგმა ფიცხელი მუშაობა გააჩაღა. მას თათბირი ჰქონდა ბრალდებულ კაიტელთან, შემდეგ ბრალდებულ ფუნკთან და მრავალ სხვა პირებთან. 1941 წლის 8 მაისს ბრალდებულმა როზენბერგმა „ოკუპირებული აღმოსავლეთი ტერიტორიების" საიმპერიო კომისართა თანამდებობის ყველა მომავალ კანდიდატს გაუგზავნა სპეციალური ინსტრუქცია, რომელშიც მან განუსაზღვრა ამოცანები მომავალ გერმანელ საოკუპაციო ხელისუფალთ საბჭოთა ტერიტორიაზე.

როზენბერგის მეორე დოკუმენტია ინსტრუქცია საიმპერიო კომისრისადმი ბალტიისპირეთში. ამ ინსტრუქციაში როზენბერგი წინადადებას იძლევა გაგერმანელონ ესტონეთი, ლატვია და ლიტვა იქ იოლ გამდიდრებას დახარბებული გერმანელების გადასახლებით და ამ ქვეყნებიდან ყველა არაგერმანელი ელემენტების გამოსახლებით. ინსტრუქციაში პირდაპირ არის ნათქვამი: „ლატვიაში უნდა მოველოდეთ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას, და ამიტომ გათვალისწინებულ უნდა იქნას მოსახლეობის გამოსახლება უფრო ფართო მასშტაბით. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე მდგომარეობა შეიქმნება ლიტვაშიც. ამიტომ აქაც მოგვიხდება მივმართოთ გერმანელთა მნიშვნელოვან იმიგრაციას, რათა ინტენსიური გერმანიზაცია გავატაროთ". ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან გასახლებული ადამიანები ბელორუსიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა დაესახლებინათ. როზენბერგი წინადადებას იძლეოდა იქვე გადაესახლებინათ პოლონელებიც პოზნანის, ლოძის და სხვა რაიონებიდან. როზენბერგი ურჩევდა საიმპერიო კომისარს არ შეჩერებულიყო საშუალებათა ამორჩევის წინაშე. „კოლონიური პრობლემის გადაწყვეტა,—სწერდა იგი,—არის არა ბალტიის საკითხი, არამედ საკითხი, რომელიც ეხება მხოლოდ დიდ გერმანიას, და სათანადოდ უნდა იქნას გადაწყვეტილი".

ეს ორი დოკუმენტი, აღნიშნავს ბრალმდებელი, ამხილებს ჰიტლერელ შეთქმულთა დამპყრობლურ გეგმებს საბჭოთა ტერიტორიების მიმართ.

ოლდერმენმა სასამართლოს წარუდგინა როზენბერგის ანგარიში სსრ კავშირზე თავდასხმის მოსამზადებლად წარმოებული მისი საქმიანობის შესახებ. „კაცს შეუძლია იფიქროს, —შენიშნავს ოლდერმენი,—რომ როზენბერგი ასე სკრუპულოზურად იმიტომ ეწეოდა თავისი საქმიანობის ჩაწერას, რომ დღეს დახმარებოდა თავის ბრალმდებლებს. ჩემთვის ამ დოკუმენტში არსებული ელემენტებიდან ყველაზე საინტერესოა მხილება ბრალდებულებისა, რომლებიც როზენბერგთან მუშაობდნენ და ეხმარებოდნენ მას აგრესიის დაგეგმვასა და მომზადებაში, აგრეთვე დოკუმენტის ის ნაწილი, რაც ამჟღავნებს იმას, თუ ყველა სამინისტრო და როგორც სახელმწიფოს, ისე პარტიის ყველა დაწესებულება პრაქტიკულად რამდენად იყო ჩაბმული ამ იმპერიალისტურ წამოწყებაში". დოკუმენტს ასეთი სათაური აქვს: „ანგარიში აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიების საკითხებზე მოსამზადებელი მუშაობის შესახებ". „ინტელიგენციის, კომისრებისა და სხვა რუს ხელმძღვანელთა გაჟლეტა,— ამბობს ოლდერმენი,— იყო მხოლოდ ნაწილი იმ ოპერატიული პროგრამისა, რომელიც იმისათვის იყო ნავარაუდევი, რომ პოლიტიკურად დაენგრიათ საბჭოთა კავშირი და შეუძლებელი გაეხადათ მისი, როგორც ევროპული სახელმწიფოს, სწრაფი აღდგენა".

ამრიგად, გულდასმით მოემზადნენ რა ყველა დარგში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეჭრისათვის, ჰიტლერელმა შეთქმულებმა იწყეს თავიანთი გეგმის განხორციელება და 1941 წლის 22 ივნისს თავიანთ არმიას გადაალახვინეს სსრ კავშირის საზღვარი. იმავე დღეს ჰიტლერმა გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც მთელ მსოფლიოს აუწყა მუხანათობის ამ აქტის შესახებ. ამ პროკლამაციიდან ოლდერმენს მოჰყავს მხოლოდ ერთი ფრაზა. „მე დღეს მივიღე გადაწყვეტილება ევროპის ბედიღბალი კვლავ მივანდო ჩვენს ჯარისკაცებს". ამ განცხადებამ, ამბობს ოლდერმენი, მთელ ქვეყანას აუწყა, რომ არჩევანი მიღებული იყო: ახლა უნდა განხორციელებულიყო გეგმები, რომლებსაც გულდასმით მალავდნენ და ფარულად და განუწყვეტლივ იმუშავებდნენ. ჰიტლერელი შეთქმულნი, რომლებმაც გულმოდგინედ და დაწვრილებით დაგეგმეს და მოამზადეს ეს აგრესიული ომი, შეუდგნენ მის გაჩაღებასა და წარმოებას. ოლდერმენი ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ჰიტლერელ შეთქმულთა ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ჰიტლერული სამხედრო მანქანისათვის საჭირო სურსათისა და ნედლეულის ხელში ჩაგდება, მიუხედავად იმ საშინელი შედეგებისა, რაც ასეთ ძარცვას უნდა გამოეწვია. ოლდერმენი აქვეყნებს ორ პარაგრაფს, როგორც იგი ამბობს, „შემაძრწუნებლად გულახდილი მემორანდუმისას", რომელიც 1941 წლის 2 მაისით არის დათარიღებული. მემორანდუმის სათაურია: „სახელმწიფო მდივნებთან „ბარბაროსას გეგმის" განხილვის შედეგი". ამ ორ პარაგრაფში ნათქვამია:

„პირველი. ომი შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი შეიარაღებული ძალები ომის მესამე წელს მომარაგდებიან რუსეთიდან მიღებული სურსათით.

მეორე. უეჭველია, რომ ამის შედეგად მრავალმილიონიანი მოსახლეობა დაიღუპება შიმშილით გამოწვეული სიკვდილით, თუ ქვეყნიდან წამოვიღებთ ყველაფერს, რაც ჩვენთვის საჭიროა".

ამით მთავრდება ტრიბუნალის 10 დეკემბრის დილის სხდომა.



ციხის კოშკი გრემში (კახეთი).

ისტორიული ძეგლების შესწავლა

(ყვარლის ექსპედიციის შედეგები)

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ არქიტექტურის საქმეთა სამმართველოში შესდგა საარქიტექტურო საბჭოს ღია სხდომა სამეცნიერო ორგანიზაციებისა და განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სხდომა მიეძღვნა ყვარლის ექსპედიციის მუშაობის შედეგებს. ექსპედიცია მიმდინარე წელს მოაწყო არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ ნეკრესის, შილდის, გრემისა და სხვა ისტორიული ძეგლების შესწავლის მიზნით.

ექსპედიციის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსმა ამხ. დ. ლომაძემ, თანამოხსენება—განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა სამეცნიერო ნაწილში პროფესორმა დ. გორდეევმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპედიციამ ნეკრესის მონასტრის გამოკვლევისას აღმოაჩინა ჯერ კიდევ ვახუშტის მიერ მოხსენებული უძველესი ქალაქის კვალი, აგრეთვე გამოიკვლია და შეისწავლა ნეკრესელის სასახლე, რომელიც საქართველოს VIII საუკუნის საერო არქიტექტურის უნიკალურ ნაგებობას წარმოადგენს. იქვე, მდინარე ინცობის სათავეში, ნათლისმცემელში, დაღისტანში გადასასვლელი უღელტეხილის მისადგომებზე, აღმოჩენილია მეცნიერებაში უცნობი კვალი ვრცელი დაბა-ციხისა. გრემში გამოკვლეულ იქნა ნაქალაქარის საციხო, საცხოვრებელი და უტილიტარული ნაგებობანი. აქ განსაკუთრებით საინტერესოა ექსპედიციის მიერ გამოკვლეული შოთა რუსთაველის ეპოქის ციხესახლე განსაცვიფრებელი საერო არქიტექტურისა. ყვარელში და განსაკუთრებით შილდაში, ციხე „გალავანის" და მთელ რიგ საკულტო ნაგებობათა გამოკვლევასთან ერთად, დიდი მუშაობა ჩატარდა მეცნიერებაში დღემდე უცნობი ისტორიული ძეგლების გამოვლინებისა და აღრიცხვისათვის. ამ ძეგლებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა X-XI საუკუნეების ხუთი საკულტო ნაგებობა: ყვარლის მიდამოებში სამების ცერის მთაზე მდებარე ორი ბაზილიკა—„დუბე" და „სამება", აგრეთვე 3 ბაზილიკა—„შალუანთ ხაყდარი" ზემო ვეძის-ხევში, „ნათლისმცემელი" მდინარე უჩარზე და გუმბათიანი ტაძარი „ბარცანა" შილდის მიდამოებში.

განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე ახლად აღმოჩენილი კედლის მოხატულობა „ბარცანასა" და „სამებაში" სამების ცერზე, რაც XII-XIII საუკუნეებს ეკუთვნის.

წინათ ცნობილ ფრესკულ მოხატულობათაგან, რომელთაც არა ჰქონდათ ზუსტი დათარიღება, ექსპედიციამ შესძლო გამოერკვია, რომ ნეკრესში არის კახეთის მეფის ლევანის ჯგუფური საგვარეულო პორტრეტი, აგრეთვე ნათლისმცემლის ტაძარში ინცობაზე—მისი მეუღლის თინათინის პორტრეტი. ორივე მოხატულობა XVI საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის.

ექსპედიციამ შეაგროვა მასალა შემდგომი კამერალური დამუშავებისათვის ყვარლის რაიონის გამოკვლეულ ნაწილში, უწინარეს ყოვლისა გრემში, ნეკრესში და ნათლისმცემელში ინცობაზე, აგრეთვე დიდი ხნის წინათ მიტოვებული და საშიშ მდგომარეობაში მყოფი ძველი ციხე-დარბაზის „ლომისციხის" შესასწავლად, რომელიც აგებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამდე.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა გ. ნ. ჩუბინიშვილმა, ა. გ. ქურდიანმა, მ. ა. ჩხიკვაძემ და სხვ.

მოხსენებანი ილუსტრირებული იყო მრავალი ნახატით. (საქდესი).

ფასების დაკლება „ოსობტორგის" მაღაზიებში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 2 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე 11 დეკემბრიდან „ოსობტორგის" ტიპის კომერციულ მაღაზიებში ფასები დაკლებულია.

პურის ფასი შემცირებულია 20 პროცენტით, ბულკის ნაწარმის—15 პროცენტით (საშუალოდ), შაქრის — 25 პროცენტით (საშუალოდ), ფქვილის—10 პროცენტით (საშუალოდ), კონფეტის ნაწარმის—10-15 პროცენტით, შოკოლადის—20 პროცენტით და სხვ.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი აცხადებს, რომ მნახველთათვის გაიხსნა მუზეუმთან მოწყობილი გამოფენა ი. ბ. სტალინის წიგნის მიხედვით „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ".

გამოფენის დათვალიერება შეიძლება (გარდა ორშაბათისა) დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

მნახველთათვის ეწყობა მიმოხილვა-ექსკურსიები და ლექცია-ექსკურსიები ცალკეულ თემებზე: მოსკოვის დაცვა, კავკასიის დაცვა, გერმანელთა განადგურება სტალინგრადთან, წითელი არმიის 10 გამანადგურებელი დარტყმა და სხვა.

ჩაწერა სწარმოებს მუზეუმის საექსკურსიო ბიუროში, ტელეფონი № 3-14-84.

დირექცია

ლექცია

12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ნოდიას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: ატომის ენერგიის შესახებ.

შესწორება

ქართულ ენაზე გამოცემულ ბროშურაში — „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა" — ტირაჟის ნაწილში დაშვებულია ორი კორექტურული შეცდომა.

ბროშურის მე-8 გვერდზე დაბეჭდილია: „მუხლი 29. ქალაქებში, სამრეწველო პუნქტებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, რომლებშიც 2.000-ზე მეტი მცხოვრები ითვლება, საარჩევნო უბნები იქმნება შემდეგი ანგარიშით — ერთი საარჩევნო უბანი 1.300-3.000 მცხოვრებზე".

უკანასკნელი სიტყვები უნდა იკითხებოდეს ასე: „—ერთი საარჩევნო უბანი 1.500-3.000 მცხოვრებზე".

მე-9 გვერდზე ზემოდან პირველი წინადადება დაბეჭდილია ასე: „სოფლებში ან სოფელთა ჯგუფში, რომლებშიც ითვლება 400-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არა ნაკლებ 300-სა, იმ შემთხვევაში, როცა მანძილი ასეთი სოფლებიდან საარჩევნო უბნის ცენტრამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები".

წინადადების დასაწყისი უნდა იკითხებოდეს ასე: „სოფლებში ან სოფელთა ჯგუფში, რომლებშიც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები" და სხვ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

შახტების მფლობელთა ძირგამომთხრელი მუშაობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 8 დეკემბერი. (საქდესი). თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებულ სპეციალურ სტატიაში გაზეთი „საბად ნეპ" სწერს, რომ უდიდესი შახტების მფლობელები და ადმინისტრატორები ეწევიან მუშათა მომარაგების, ნედლეულის მიწოდებისა და ქვანახშირის ამოღების საბოტაჟს. საქციო საზოგადოებამ „ბორშოდის შახტებმა" ორი ათას მეშახტეს ტრანსპორტის ნაკლებობის მომიზეზებით არ დაურიგეს მრეწველობის სამინისტროს მიერ მათთვის გამოყოფილი საცვლები. ნამდვილად კი ხელმძღვანელობა არ დათანხმდა გადაეხადნა საცვლების მიტანის ღირებულება. ხელმძღვანელობის უმოქმედობის შედეგად შეიქმნა საფრთხე მუშაობის შეწყვეტისა კარბიდის უქონლობის გამო. ეს პრობლემა გადაჭრილ იქნა მხოლოდ საქარხნო კომიტეტის ჩარევის მეოხებით.

გაზეთი იუწყება, რომ „უნგრეთის საყოველთაო შახტები" სპეკულაციის გზას დაადგნენ. სარგებლობენ რა იმით, რომ მინისტრს არ დაუწესებია ქვანახშირის ფასები, ისინი ამ უკანასკნელის ღირებულებას ანგარიშობენ არაოფიციალური კურსით, რის გამო ქარხნებს არ შეუძლიათ იყიდონ ქვანახშირი.

ინგლის-ამერიკის ეკონომიური შეთანხმების გამო

ლონდონი, 7 დეკემბერი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კონსერვატორების ბუტბისა და ჰოლისის მიერ შეტანილ რეზოლუციაში, რომელიც წინადადებას აძლევს პალატას არ მოიწონოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმება სესხის შესახებ, ნათქვამია, რომ ეს შეთანხმებანი „ჯერ-ერთი, გულისხმობენ საერთაშორისო ოქროს სტანდარტისაკენ დაბრუნებას, რაც საფრთხეს შეუქმნის ჩვენი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღდგენას და წაართმევს ინგლისს შესაძლებლობას ეფექტიანი კონტროლი გაუწიოს ნაციონალურ ეკონომიკას. მეორე, შეთანხმებანი გულისხმობენ სტერლინგის ბლოკის მოსპობას და, ამრიგად, სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ჩვენი ქვეყნისა და იმპერიის ეკონომიურ სიმტკიცეს. მესამეც, ისინი ნიშნავენ „უდისკრიმინაციო ვაჭრობის" პრინციპისაკენ დაბრუნებას, რაც გამოიწვევს იმპერიის ერთიანობის დარღვევას და არსებულ პირობებში არაპრაქტიკული, მოძველებული და რეაქციული წინადადება იქნება".

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება ამხ. ხიმონგულოვის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „პარტიის ორგანიზაციული მშენებლობის საკითხები ამხანაგ სტალინის შრომებში".

13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საბჭოთა კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საკითხებზე შესდგება ამხ. ფურცხვანიძის კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე.

მოქალაქე **შოთა ნიკოლოზის-ძე ახვლედიანმა**, მცხოვრებმა მარის ქ. № 26 აღძრა საქმე გრიბოედოვის ქ. № 3 მცხოვრებ მოქალაქე **ეთერ დავითის-ასულ თედორაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ბერიას რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლოში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან რაიფინგანის გამგის **გრიგოლ ნესტორის-ძე ბიბაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.78.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 91.800

უე 09817